# საერთო გაზეთი

№39 (497) • 24 ოქტომბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი




## სალომე ზურაბიშვილი: ერთად საქართველოსთვის

## პოლიტიკური სუპერმენი და ჩაფლავებული ჟურნალისტები, ანუ „ჭირხვნაი საკვირველი“



**ბიძინა ივანიშვილი:**

„რასაც „ნაცმოძრაობა“ 9 წლის განმავლობაში აშენებდა, დღეს იმაზე მეტს მარტო მე ვაშენებ“!

## თარხაანთ გაგას წინასწარმეტყველება

„გავა ერთი საუკუნე, ასი წელი და დადგება უკეთესი დრო, როცა თამარ მეფის მერე საქართველოს „ხელმწიფედ“ მოვა ქალი და ქვეყანას მაშინ ეშველება. ელოდეთ იმ დროს და უფლის რწმენით ალიჭურვეთ“



## ჩვენ არ ვიყიდებით - ჩვენ უკვე გაყიდულები ვართ!

## „სალომე ზურაბიშვილი საქართველოში დაბადებულ ბევრ ქართველზე დიდი ქართველია!“

კაგებეშნიკო ვაშაძე და სააკაშვილის მონავა, ბაქრაძევ, არც იოცნებოთ საქართველოს პრეზიდენტობაზე – ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს!

## დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნებში სალომე ზურაბიშვილი პირველსავე ტურში გაიმარჯვებს

## გრიგოლეტო – მიშას და ვოვას ერთობლივი ოპერის მთავარი სოლისტი

## სალომე ზურაბიშვილის სურამის ციხე

# არჩევნები, როგორც ლუსტრაცია

## თუ ქართველ ხალხს ქვეყნისთვის საჭირო და სწორი არჩევანის გაკეთება არ შეუძლია, მაშინ დავლუპულვართ, გავთახსირებულვართ, სულიერად და მორალურად მოვმკვდარვართ და რა გვეარჩევნება?

**ძვირფასო ქართველებო,**

**მე თქვენ არ გეკითხებით, მოგწონთ თუ არა სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტად;**

**მე თქვენ არ გეკითხებით, მხარს უჭერთ თუ არა „ქართულ ოცნებას“;**

**მე თქვენ არ გეკითხებით, პატივს სცემთ და აფასებთ თუ არა ბიძინა ივანიშვილის ღვაწლს საქართველოს წინაშე;**

**მე თქვენ არ გეკითხებით, როგორია თქვენი პოლიტიკური ორიენტაცია;**

კიდევ უამრავ რაღაცას არ გეკითხებით, რაც მინდოდა მეკითხა, მაგრამ სხვა კითხვებით თავს არ შეგაწყენთ და მხოლოდ ერთადერთ კითხვას დაგისვამთ:

**გიყვართ თუ არა საქართველო?**

უხერხული კითხვაა ეს, რადგან ყველა ქართველი თვლის, რომ საქართველო უყვარს და ამ კითხვის დასმაც კი შეიძლება შეურაცხყოფად მიიღოს. არადა, მე არავის შეურაცხყოფას არ ვაპირებ, უბრალოდ, კითხვას ვსვამ: **გიყვართ თუ არა საქართველო?**

კი, მაგრამ, როგორ შეიძლება საქართველო გიყვარდეს და, იმავე დროს, ხმას აძლევდე ვაშაძეს ან ბაქრაძეს, ანუ იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა საქართველოს.

ვაშაძეში და ბაქრაძეში კი არ არის საქმე — სინამდვილეში მათ ზურგს უკან ატუზული სააკაშვილი აპირებს ხელისუფლებაში მობრუნებას, სააკაშვილი — საერთაშორისო მასშტაბის ავანტურისტი, სისხლის სამართლის დამნაშავე, ქვეყნის ღალატში ეჭვმიტანილი, წაგებული ომის მთავარსარდალი, რომლის პროვოკაციულ ქმედებებს უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა „ნაცმოძრაობის“ 9-წლიანი რეჟიმის ფუნდამენტური და ობიექტური ანალიზი.

საზოგადოებამ მხოლოდ მცირე ნაწილი იცის იმ შემზარავი და გამაოგნებელი დანაშაულობებისა, რაც „ნაცმოძრაობას“ აქვს ჩადენილი, თუმცა დრო მოვა, აქამდე დაფარული ყველა შემზარავი საიდუმლო გამჟღავნდება და საქართველოც და, მასთან ერთად, დანარჩენი მსოფლიოც, აუცილებლად შეძრწუნდება ამ დანაშაულობების მასშტაბებით.

დღეს იქნება თუ ხვალ, ქართული ნიურნბერგის პროცესი აუცილებლად შედგება და მაშინ ბევრს შერცხვება, ადამიანების ტვინების გამორეცხვაზე ორიენტირებული პროპაგანდით, მიზანმიმართული ფსიქოლოგიური ტერორით დაბრმავებული და გონებადაბინდული, „ნაცმოძრაობას“ რომ უჭერდა მხარს.

არჩევნები, სინამდვილეში, საზოგადოების ლუსტრაციაა, ერთგვარი სოციოლოგიური გამოკვლევაა, თუ როგორი და რანაირი ადამიანებისგან შედგება მოცემულ სიტუაციაში ქვეყნის მოსახლეობა. არჩევნების შედეგებით ადვილად შეიძლება გამოვიანგარიშოთ, რამდენი პატრიოტი, რამდენი გონიერი და საღად მოაზროვნე მოქალაქე ცხოვრობს ქვეყანაში და რამდენი ცუდად ინფორმირებული, რამდენი შლეგი, რამდენი ფარისეველი ადამიანი ჰყავს საზოგადოებას.

– ხელისუფლებას სხვა გზა არ აქვს, მან არჩევნები უნდა გააყალბოს. სხვანაირად ან გრიგოლ ვაშაძე გაიმარჯვებს, ან დავით ბაქრაძე, — ამტკიცებენ „ნაცმოძრაობის“ ფანები.

**როგორ დავიჯერო**, საქართველოში იმდენ ქართველს არ უყვარს საქართველო, საქართველოში იმდენი უღირსი და უთავმოყვარეო ქართველი ცხოვრობს, რომ, თუ არჩევნები არ გაყალბდა, ისინი ხმას იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს მისცემენ, რომელმა პოლიტიკურმა ძალამაც მათი ღირსება და თავმოყვარეობა შელახა, ასობით უდანაშაულო ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა, ათიათასობით მოქალაქე ციხეებში გამოკეტა, ასიათასობით ადამიანი დააყაჩაღა, გაძარცვა, გააუბედურა, მერე კი მტერს შეეკრა და ქვეყნის ტერიტორიის ოცი პროცენტი ფეშქაშად მიართვა.

**როგორ დავიჯერო**, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ამ ძალას უჭერს მხარს და, თუ არჩევნები არ გაყალბდა, ჩვენი მოქალაქეების დასტურით და ნება-სურვილით, კვლავ ეს ძალა მობრუნდება ხელისუფლებაში.

**თუ ეს მართლაც ასეა**, მაშინ ან ამ არჩევნებს, ან ასეთი ქვეყნის არსებობას რა აზრი აქვს?!

**თუ საქართველოს სწორი არჩევანის გაკეთება არ შეუძლია და ვაშაძის ან ბაქრაძის არჩევას აპირებს პრეზიდენტად, მაშინ დავლუპულვართ, გავთახსირებულვართ, სულიერად და მორალურად მოვმკვდარვართ და რა გვეარჩევნება?**

თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს ასე არ არის და ჭორებს ქართველი ერის გარდაცვალების შესახებ ნაციონალები და მათი სატელიტები ავრცელებენ, რომლებიც ჩვენი გარდაცვალების ყალბ ცნობას მათ მიერვე დაფინანსებული ყალბი სოციოლოგიური კვლევებით ადასტურებენ.

**მე თქვენ არ გეკითხებით, გიყვართ თუ არა სალომე ზურაბიშვილი;**

**მე თქვენ არ გეკითხებით, მხარს უჭერთ თუ არა „ქართულ ოცნებას“;**

**მე თქვენ არ გეკითხებით, პატივს სცემთ და აფასებთ თუ არა ბიძინა ივანიშვილის ღვაწლს საქართველოს წინაშე;**

**მე თქვენ არ გეკითხებით, როგორია თქვენი პოლიტიკური ორიენტაცია.**

მე თქვენ გისვამთ ერთადერთ კითხვას:

**გიყვართ თუ არა საქართველო?**

და თუ საქართველო გიყვართ, მაშინ არ დაუშვათ „ნაციონალების“ მობრუნება ხელისუფლებაში, რადგან ეს იქნება სრული კატასტროფა იმ ქვეყნისთვის, რომელიც თქვენ ასე **ძალიან გიყვართ!**

**ვახტანგ ხარჩილავა**



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# თარხაანთ გაგას წინასწარმეტყველება

## „გავა ერთი საუკუნე, ასი წელი და დადგება უკეთესი დრო, როცა თამარ მეფის მერე საქართველოს „ხელმწიფედ“ მოვა ქალი და ქვეყანას მაშინ ეშველება. ელოდეთ იმ დროს და უფლის რწმენით აღიჭურვეთ“



უძლიერესი იყო ხევსურეთის (ფხოვის) ქადაგთა ინსტიტუტი. მათ ჰქონდათ უნიკალური მიკრო და მაკროსამყაროს ხედვა. ფხოვის სივრცეში მოძრაობდნენ ხილული და ნახევრადხილული არსებანი. რასაც უახლესი მეცნიერება ხედავს ვაკუუმში, ისინი ხედავდნენ ასტრალში. გლობალური და ვირტუალური სივრცის არსებანი და ფხოვის ნათელმხილველნი ხევისბერნი და ქადაგნი ერთად ცხოვრობდნენ.

ერთი ინფორმაციით, რომელიღაც ქადაგი, რომელიღაც დროში სამ ვირტუალურ არსებას (ნახევრადხილულს) მთვარიან ღამეს აჰყავს მაღალი ციხის ქონგურზე და იქიდან აგდებენ. მოტეხენ ხელს და ფეხს და მყისიერად შეუხორცებენ და ეტყვიან: თუ წმიდად არ იქნება და ზოგიერთ გადაცდომას დაუშვებს, კიდევ გადმოაგდებენ და აღარ უშველიან.

ნათელმხილველი ქადაგი თემის (საყმოს) იმედი და მყარი ეთნო-ფსიქიკური აურის შემქმნელი იყო.

როგორც შუმერთა ნათელმხილველი ზიუსოდრა წინასწარმეტყველებს წარღვნას, ასევე ხევსურთა ქადაგი ალდი (ალდია) წინასწარმეტყველებს მიწისძვრას და ხევსურეთის საყმოს მოუწოდებს, ყველანი სახლებიდან გარეთ გამოდითო. მართლაც მოხდა ისეთი მიწისძვრა, რომ კლდეები ჩამოიშალა და კოშკები და ქვითკირები წელში გადატეხა.

ხალხი გარეთ გამოვიდა და გადარჩა. მაშინ, თურმე, არც ერთი ხევსური არ დაღუპულა მიწისძვრით.

ამავე ქადაგმა ზვავებისგან გარიყულ თემს დაკარგული ადამიანი აპოვნინა. შემოუთვალა: წუხელ ღამით ჩემთან მოვიდა „გარდაცვლილი“ და მითხრა, აქა და აქ ვარ, სხვაგან ნუ მეძებენო!

მივიდნენ, გათხარეს და სწორე იქ ნახეს ზვავში დაპრესილი!.

ხევსურეთის ნათელმხილველთა ქადაგთა და ხევისბერთა ინსტიტუტი ისეთივე ძლიერი და მისტიკური იყო, როგორც შუმერის, ბაბილონის, დელფოსის წინასწარმეტყველთა კასტა. როგორც ბიბლიურ რჯულისკაცთა და ნათელმხილველთა ინსტიტუტი! „ალდეას“ სახელწოდებაც კი თითქოს ქალდეური წარმომავლობისა იყო. ყველა თემში იყო თითო ნათელმხილველი მაინც. დადუში, ახადში (ფშავი), გუდანში, მადალიგოში, ზეისტეჩოს, ატაბეს თუ კარატის ჯვარის და არხოტის თემებში. მაგრამ გამოჩნდებოდა ხოლმე რომელიმე ასტრალური კავშირის მისტიკური მედიუმი, რომლის სიტყვა-წინასწარმეტყველება არამარტო ხევსურეთის, არამედ მთიანეთის ყველა თემში ვრცელდებოდა!

იგი გუდანის ჯვარის ან ბაცალიგოს პირქუშის სალოცავის „კვრივში“ ჯდებოდა და აქედან აცხადებდა საყმოს ბედისწერას, დროში ჩამომდგარი ხიფათის და მისი არიდების შესაძლებლობას. თემი არ მოქმედებდა მისი ჩარევის გარეშე და მით უფრო, არც სალაშქროდ წავიდოდა! როგორც ცნობილია, ქადაგმა კრწანისის ომში წამსვლელ ლაშქარს „დიდი ხიფათი“ უწინასწარმეტყველა: „დაიღუპებით, მაგრამ რაღაცას გადაარჩენთო!..“ მე ვფიქრობ, რომ ქადაგმა მეფის გადარჩენა იგულისხმა, რომელიც გუდანის ჯვარის საყმოს მეომრებმა მართლაც ტყვეობიდან იხსნეს.

აქ უნდა გავიხსენოთ სტრაბონის ინფორმაცია, რომ „იბერებს და კოლხებს მთვარის ტაძრები ედგათ და იქ ქადაგ-მისანთა ძლიერი ინსტიტუტი არსებობდა...“

ივანე ჯავახიშვილი ეთანხმება ამ მოსაზრებას და ამბობს, რომ ასეთი მკვეთრად გამოხატული მნათობთა სარიტუალო-საკულტო კერები შეომრჩენილია ხევსურეთში ძლიერი ქადაგ-მისანთა ინსტიტუტით.

ეს მართლაც ასეა კარატეს ჯვარის, კოპალა-იახსარის თუ სანეს სალოცავთა რიტუალები მთვარის (და, ზოგადად, მნათობთა) კულტთან შერწყმული წმიდა გიორგის მისტერიებია, ხევისბერი, ქადაგი და დასტურ-მაგანძულთა ძლიერი ინსტიტუტით.

ხევსურეთის და, ზოგადად, მთიანეთის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ნათელმხილველი-წინასწარმეტყველი თარხანათ გაგა იყო. მისი ქადაგებანი დღემდე მოჰყვება ფხოვის თემს და ვრცელდება მთელი ერის სივრცეზე.

კერძოდ, მან იქადაგა: აიყრება ხევსურეთი, უდაბურ ნასახლარებად იქცევა, დაიცლება ქვეყანა თავისი ხალხისგან, მთლიანად ამოწყდება(დამთავრდება) ფუნჩიას გვარიო! ფუნჩიამ, როდესაც ეს ქადაგება გაიგო, ფარ-ხმალი აისხა და თარხანათ გაგას მოსაკლავად წავიდა: „ჩემი მაწყევარი ჩემს წინო!“ მაგრამ ფუნჩიას გზაში ადიდებულ მდინარეზე ხიდი ჩაუტყდა და წყალმა წაიღო. ასე გაუცხადდა ქადაგის სიტყვა...

ხოლო მისი მთავარი ბედისწერული ქადაგებაც გაცხადდა: ხევსურეთი მართლაც „უდაბურ ნასახლარებად და ნასოფლარებად“ იქცა. ხევსურები იძულებით აყარეს 50-იან წლებში და ნახევარუდაბნოებში ჩაასახლეს. ზოგადად კი, მთელი ქართველი ერი დაიძრა თავისი მიწა-წყლიდან და ლტოლვილად იქცა!

თარხანათ გაგამ თავისი ქვეყნის აპოკალიფსი დაინახა და საკუთარი ბედისწერაც იწინასწარმეტყველა: „ცეცხლში მწვავენო!“

მან იქადაგა, რომ მოვა „ყვითელთმიანი ხალხი. იმდენად მრავალრიცხოვანი, რომ მთებსა და კლდეებსაც კი ტილივით შეაცოცდებიანო. ჩვენ შევებრძოლებით მათ, ბევრსაც ამოვწყვეტთ, მაგრამ ვერ გავათავებთ მათი სიმრავლის გამო. ეს ტომი კაცის ხელით არ დაილევა, თუ ღმრთმა არ ამოწყვიტაო!.. შესთხოვეთ უფალს, მოგვცეს ძალა და შევებრძოლოთ ამ კალიისფერ ეშმაკებსო...“

ეს იყო რუსის ჯარის შესვლა ხევსურეთში. ხევსური მეომრები გავიდნენ სახლებიდან და ბუნებრივი დაცული სიმაგრეებიდან დაიწყეს პარტიზანული ომი.

რუსებმა სოფლები და ყანები გადაწვეს. თარხანათ გაგა საკუთარი სახლის ცეცხლში ჩაიწვა. ეს იყო მისი წინასწარმეტყველების გაცხადება.

დააკვირდით, როგორ ჰგავს ფხოველი (ხევსური) ქადაგის სიტყვა ბიბლიური იოველის ქადაგებას:

„დრო დგება ისეთი, როდესაც მუხლუხოს გადარჩენილი კალიამ შეჭამა, კალიას გადარჩენილი — კუტკალიამ, კუტკალიას გადარჩენილი ბოცომკალმა შეჭამა... გაიღვიძეთ ლოთებო და მეძავნო, იტირეთ და ივალვალეთ ღვინის მსმელნო, რადგან მოადგა ჩვენს ქვეყანას ძლიერი და ურიცხვი ხალხი, რომელსაც კბილები ლომის და ყბები ძუ ლომისა აქვს. ჩაჰბერეთ საყვირი სიონზე, შეჰყარეთ ერი, მოიწვიეთ საკრებულო, შეკრიბეთ უხუცესობა, შეყარეთ ჭაბუკები და ძუძუთა ბავშვები, გულები დაიგლიჯეთ და არა სამოსელი (!) დაუბრუნდით თქვენს ღმერთს.

ნუ გახდი სასირცხვოდ შენს სამკვიდროს, ნუ ჩააგდებ ხალხების ყბაში: აბა, სად არის მათი ღმერთიო?!“

მრავალი საუკუნის წინ წარმოთქმული ეს ქადაგება თითქოს დღევანდელი ტექსტია, ჩვენი ხიფთის და ვითარების მაუწყებელი.

●

თარხანათ გაგას ყველაზე ბოლო ქადაგება გახლავთ მეტად საგულისხმო და ნიშანდობლივი სწორედ დღევანდელი ვითარებისთვის მისადაგებული, როცა ქვეყანამ ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს...

კერძოდ, მან იწინასწარმეტყველა: გავა ერთი საუკუნე, ასი წელი და დადგება უკეთესი დრო, როცა თამარ მეფის მერე საქართველოს „ხელმწიფედ“ მოვა ქალი და ქვეყანას მაშინ ეშველება. ელოდეთ იმ დროს და უფლის რწმენით აღიჭურვეთ...

მე ვხედავ, ჩვენს ხეობებში უკან მიბრუნებულ ფეხშიშველ, მშიერ-ტიტველ ხალხს, მაგრამ იქ თემ-სოფლები და სახლები აღარ დახვდებათ და მოუწევთ ქვაბებში და ნახიზნარებში შესვლა. არ ექნებათ საკვები, ბევრი ამოწყდება შიმშილით, მაგრამ მაინც დარჩებიან იმდენი, რომ ჯიში არ გადაშენდეს.

გაგას ეს ქადაგებანი ხევსურთა ყველა თემსა და სალოცავში გააქტიურდა: ხევსურეთის თემის კითხული კაცები მიიჩნევენ, რომ ნათელმხილველის ეს წინასწარმეტყველება სწორედ სალომე ზურაბიშვილზე მიანიშნებს და ის უეჭველად გახდება საქართველოს „ხელმწიფე“, ანუ პრეზიდენტი.

ეს მართლაც ასე იქნება, რაკი მან იქადაგა! დაველოდოთ და ვნახოთ! 100 წელი გადის ამ მისტიკური მედიუმის ქადაგებიდან. იქნება, მართლაც შებრუნდეს ერი საკუთარ ისტორიულ კუთხეებში მამა-პაპის მიწა-წყალზე და აღიდგინოს (გადაირჩინოს) საკუთარი თავი!

**კობა არაბული,**
მწერალი, ეთნოლოგი



# „სალომე ზურაბიშვილი საქართველოში დაბადებულ ბევრ ქართველზე დიდი ქართველია!“

***„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი შოთა გლურჯიძე:***

**— ბატონო შოთა, არჩევნებამდე რამდენიმე დღე რჩება. რა მოლოდინი გაქვთ?**

— ჩემი აზრით, წლევანდელი არჩევნები, საზელისუფლო, უფრო ზუსტად, დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მიმართ, უზომოდ საშინელი დევნით ხასიათდება. ოპონენტების მიერ არჩეული ბრძოლის ეს ფორმა დიდი ხანია პოლიტიკის ფარგლებს გასცდა და პირად შეურაცხყოფაში, უზნეო დევნასა და ცილისწამებაში გადაიზარდა. პირადად, ქალბატონ სალომეს დიდი ხანია ვიცნობ. მასთან ურთიერთობა იმ დროიდან მაქვს, რაც საქართველოში ჩამოვიდა. სალომე ზურაბიშვილს რუსეთის აგენტობა ანდა ამ ქვეყნის მიმართ ლოიალური განწყობა დააბრალო, ეს აბსოლუტური უნამუსობაა. მეტიც, ჩემი აზრით, ქალბატონი სალომე ზედმეტად რუსოფობიც კი არის. ზოგადად, იგი, მრავალმხრივ საინტერესო ადამიანია. მის ბიოგრაფიაში, ჩვენთვის საყვარელი ემიგრაციის ბედ-იღბალი, სრულად არის ასახული. ამიტომ, ვთვლი, თუ იგი საქართველოს პრეზიდენტი გახდება, ჩვენი მხრიდან ეს იქნება პატივისცემის გამოხატულება იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც წლების მანძილზე ქართული კულტურა შეინარჩუნეს. საფრანგეთში სალომე ზურაბიშვილის ოჯახმა, საკუთარი ხარჯით, პატარა მართლმადიდებლური ტაძარი გახსნა, რაც ბევრმა არ იცის. შეკითხვა — კათოლიკეა იგი თუ მართლმადიდებელი, უადგილოა იმ თვალსაზრისით, რომ ეს ქალბატონი ამ წიაღში გაიზარდა, საკუთარი მართლმადიდებლური ეკლესია აქვს და როგორ შეიძლება კათოლიკე იყოს. ანუ, იგი, ბავშვობიდან ამ სივრცეში იზრდებოდა, მეტად ქართველია, ვიდრე აქაური ქართველები. ასე ვიტყოდი, სალომე ზურაბიშვილი, ყველა თვალსაზრისით, სამაგალითო ქართველია. მას თავისუფლად შეეძლო საკუთარი ცხოვრება საფრანგეთში გაეგრძელებინა, მაგრამ ამ ოჯახის მისია ყოველთვის საქართველოში დაბრუნება, მისით სუნთქვა იყო. ამიტომ, ჩემთვის, სალომე ზურაბიშვილი უალტერნატივო კანდიდატია. წინა არჩევნებში ქალბატონ სალომეს რაღაც სისულელეები მოუგონეს და მონაწილეობის საშუალება არ მისცეს, რის გამოც „ქართულ ოცნებაზე“ ძალიან გაჯავრებული ვიყავი. ამის გამო, მარგველაშვილისთვის ხმის მიცემა არ მინდოდა. მას, ჩემი აზრით, სალომესთვის მხარი უნდა დაეჭირა. გასაგებია, რომ იგი თავად იყო კანდიდატი, მაგრამ სალომესაც უნდა ჰქონოდა საშუალება, რათა კენჭი ეყარა. ძალიან მინდა, რომ ზურაბიშვილმა არჩევნებში გაიმარჯვოს. პროგნოზის გაკეთება ძნელია, მაგრამ „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან, ამ ინტერვიუს მეშვეობით მინდა ქართველებს მოვუწოდო: მხარი ღირსეულ კანდიდატს დაუჭირონ. ეს არამარტო სალომესადმი, არამედ, იმ ადამიანებისადმი მხარდაჭერა იქნება, რომლებმაც ქართული გენი, კულტურა წლობით შეინარჩუნეს და ატარეს. ეს, ჩვენი, ერთგვარი ვალია. ამ საკითხს ასე ვუყურებ.

**— როგორ დაახასიათებთ „ნაციონალების“ კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს?**

— არ მინდა იმ ადამიანებს დავემსგავსო, რომლებიც პოლიტიკოსების წინააღმდეგ ბინძურ პიარს იყენებენ. ჩემთვის სავსებით საკმარისია ის, რომ გრიგოლ ვაშაძე კენჭს 5 ნომრით იყრის. ეს ციფრი ქართველებისთვის, უკვე, საძულველია. აქედან გამომდინარე, მგონია, ეს მისი ოჯახის მთავარი პრობლემაც არის, რომელსაც წესით, უწინაც სხვა არჩევანი უნდა გაეკეთებინა, როცა დაინახა თუ რა ძალასთან ჰქონდა ურთიერთობა. ახლაც, ამ სივრცეში, დარჩენა, ჩემი აზრით, კულტურული, ნორმალური ადამიანისთვის, სამარცხვინოა.

**— სალომე ზურაბიშვილისადმი შავი პიარის აგორება, ძირითადად, მისი განცხადებიდან დაიწყო, რაც ომის თემას უკავშირდებოდა. ამ საკითხზე თქვენი მოსაზრება როგორია?**

— ეს იმდენად ღრმა საკითხია, ასე მარტივად პასუხს ვერ გაგცემ. შესაძლოა მერე, ამ ინტერვიუდან მავანმა რაღაც ნაწილი ამოგლიჯოს და ათასგვარი სიბინძურე დამაბრალოს, როგორც ეს სალომეს შემთხვევაში მოხდა. ეს ძალიან რთული საკითხია, რაც სათანადოდ გამოძიებული არ არის. ამ თემის გამოსაძიებლად შექმნილი იყო კომისია თუმცა, ისეთი პირებით დაკომპლექტებული, რომელთა მიმართ ნდობა არც საზღვარგარეთ აქვთ და არც ქვეყნის შიგნი თ. საკითხი კვლავ აქტუალურია, ამიტომ, მე, პარლამენტის ადგილას კიდევ ერთხელ მოვიწვევდი საგამოძიებო კომისიას, ოღონდ, ამჯერად საერთაშორისო დონისას და ამ საკითხს წერტილს დავუსვამდი. რა თქმა უნდა, საქმის მოკვლევა „ნაცმოძრაობას“ არ აწყობს და კოაბიტაციაში მყოფი „ქართული ოცნებაც“ ამ საქმის გამოძიებას არ ჩქარობს. სალომეს განცხადებიდან რამდენიმე ფრაზა კონტექსტიდან ამოგლიჯეს და ბინძურად ატრიალებენ. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ეს არ გტკიოდეს, ამ თემის მიმართ მკაფიო პოზიცია არ გქონდეს. ამიტომ, გამოძიება უნდა ჩატარდეს და ამ თემით სპეკულირებას საბოლოოდ წერტილი დაესვას. ასეთია ჩემი პოზიცია.

**— ხშირად მსმენია: ვაშაძე და ბაქრაძე საარჩევნო სიაში კი არა, არამედ ციხეში უნდა იჯდნენ. „ქართული ოცნება“ აქაც ხომ არ ტყუის, როდესაც თავის დროზე „ნაცმოძრაობის“ გასამართლების საკითხი არ დააყენა?**

— ყველაფერზე მკაფიო პასუხი უნდა გვქონდეს. ამ ადამიანებს იგივე, ვაშაძეს ხელფასს ვუხდით, რაც ჩვენი ჯიბიდან მიდის. აქედან გამომდინარე, პარლამენტი ანგარიშვალდებულია პასუხი გაგვცეს იმ თემებზე, რაც ცოტა ხნის წინ „პატრიოტთა ალიანსმა“ დააყენა. ჩემი აზრით, ეს ინიციატივა ძალიან დაგვიანებულია. სულაც არ არის საჭირო 300 ათასი თუ მეტი ხელმოწერის შეგროვება იმისთვის, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგეს, იგივე, საგამოძიებო კომისიის შექმნაზე, რომელმაც 2003–2012 წლები უნდა შეისწავლოს. არ არის იმის აუცილებლობა, რომ ამას მთელმა საქართველომ ხელი მოაწეროს. ეს ხალხი სწორედ იმისთვისაა არჩეული, რომ მსგავსი მწვავე საკითხები განიხილოს. მგონი, ეს უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე ბუსუსებიანი პრეზერვატივი. გამოიძიონ რა, როგორ მოხდა, რამდენად აქვს ამ ხალხს მორალური, ზნეობრივი უფლება, რათა პარლამენტში ისხდნენ. ბევრი მათგანი „ქართულ ოცნებაშია“ გადაბარგებული. მათ არ აქვთ ზნეობრივი უფლება საქართველოს პარლამენტის წევრებად იწოდებოდნენ.

**— ხშირად გვესმის: რა მნიშვნელობა აქვს ვინ იქნება პრეზიდენტი, მას მაინც არავითარი უფლებები არ აქვსო. ამ ლოგიკით, არაუშავს თუ ქვეყნის სათავეში ვაშაძეს ან ბაქრაძეს ვიხილავთ?**

— იცი რა, მართლაც ხშირად გვესმის: მთავარია ინსტიტუცია იყოს და მნიშვნელობა არ აქვს მას ვინ წარმოადგენსო. ვთვლი, რომ ეს არასწორია. ეს ინსტიტუცია მართლა პატივსაცემი რომ გახდეს, ჰქონდეს ძალა, სათავეში ღირსეული ადამიანი უნდა ედგეს. მის სათავეში ღირსეული ადამიანი თუ იქნება, დამერწმუნეთ, რამდენიმე წელში იგი საზოგადოებაში უზარმაზარ როლს შეიძენს და შესაბამისად, პოლიტიკაშიც. ვიცი, რომ ქალბატონი სალომე ამ ინსტიტუციას ღირსეულად ჩაუდგება სათავეში. შესაბამისად, ასე ქვეყანაც მოიგებს, პრეზიდენტის ინსტიტუტიც გაძლიერდება და მის მიმართ პატივისცემაც გაჩნდება. მთავარია, მის სათავეში ზნეობრივი, წესიერი ადამიანი იდგეს.

**— წარმოვიდგინოთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ვაშაძეა, რომელიც სააკაშვილის, მერაბიშვილის, ახალაიას შეწყალებას გვპირდება. როგორ საქართველოში გავიღვიძებთ?**

— ახლახან, ერთმა ჩემმა ნაცნობმა მითხრა: ხმა ვაშაძეს უნდა მივცე, რა ვქნა, მიყვარს ბალეტიო. არ ვიცი, ვისაც ბალეტი უყვარს, შეიძლება ხმა მას მისცეს. ჩემი აზრით, მისი გაპრეზიდენტება შეუძლებელია. საერთაშორისო, ძალიან ბნელი ძალების მხარდაჭერა რომ არა, „ნაცმოძრაობა“ არც იარსებებდა. ფანტასმაგორიაა, მაგრამ თუ მსგავსი რამ მოხდა ეს, რა თქმა უნდა, საქართველოში სამოქალაქო ომს გამოიწვევს. იმიტომ, რომ ქართველი ხალხი „ნაცმოძრაობის“ დაბრუნებას არ შეეგუება, ვერც ვაშაძეს მოგვახვევენ თავს და ვერც ბაქრაძეს. ასე, რომ ეს ცუდი სიზმარი უფროა. ვაშაძე სააკაშვილის ხელში მარიონეტია და რასაც მიშა ეტყვის, იმას გააკეთებს.

**— არჩევნებთან მიმართებაში არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის როლზე რას იტყვით?**

— ჩვენი საზოგადოების ეს ორი კომპონენტი, საქართველოში, ყველაზე დიდი პრობლემაა. ვთვლი, რომ ასეთი ძალების გარედან დაფინანსება მაინც მოხდება, მაგრამ ჩემი აზრით, ენ-ჯი-ოების გარედან დაფინანსება კანონით, მაქსიმალურად, უნდა შეიზღუდოს. იმიტომ, რომ როდესაც ისინი ფინანსდებიან რაღაც ფონდების მიერ, რომლებიც განლაგებულია სხვა ქვეყნებში ან მის კონგლომერატებში, ეს ხალხი მათ ინტერეს ატარებს. ჩვენ გვჭირდება საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ქვეყნის შიგნიდან იბადება, იმ პრობლემებს ასახავს, რაც საქართველოში არსებობს და არა იმას, რაც ეფხანებათ ევროსაბჭოში, ევროკავშირში, აშშ-სა თუ რუსეთში. ჩემი აზრით, ასეთი აკრძალვა უპრიანი იქნებოდა. ამაზე, შესაძლოა, ერთი ამბავი ატყდეს: საზოგადოებრივ სექტორს ხურავთო და ა.შ., მაგრამ ენ-ჯი-ოებმა იმ თემებზე უნდა იმუშაონ, რაც საქართველოში ადამიანებს მართლა აწუხებთ.





**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ვაშაძე რომ მოვიდეს პრეზიდენტად, ჩათვალეთ, საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივა. ეს გვინდა?“

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი ნიკუშა შენგელაია:*

**— ბატონო ნიკუშა, არჩევნები ახლოვდება. რა გადალაგებებია პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე?**

— პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე დიდ გადალაგებებს, ახალ მოთამაშეებს ვერ ვხედავ. თუმცა, მმართველმა პარტიამ უარი თქვა ამ თანამდებობაზე თავისი კანდიდატი წარედგინა და მხარი დამოუკიდებელ კანდიდატს დაუჭირა, რაც შეიძლება სიახლედ ჩაითვალოს. ვფიქრობ, ეს დემოკრატიული პროცესების განსავითარებლად წინგადადგმული ნაბიჯია. ამ ყველაფერს დრო, ბევრი რამის გააზრება, გაანალიზება და პოლიტიკურ არენაზე ახალი ძალების გამოჩენა სჭირდება. ყოველდღიურად მიწევს მოსახლეობასთან საუბარი და მათი განწყობები ჩემთვის ცნობილია. პროცესი ერთიდაიმავე რეჟიმში მიდის, ხალხი ცოტა დაიღალა. მრჩება, ისინი გაბრაზებულები, დაბოღმილები, რევანშიზმით შეპყრობილი ადამიანები არიან. ვფიქრობ, ქართველ ხალხს ეყოფა გონიერება და სწორ არჩევანს გააკეთებს. ადამიანებისაც მესმის, რომლებშიც ძალიან დიდი ნიჰილიზმი სუფევს. გასაკვირი არ არის, რომ ადამიანებს უფრო და უფრო უკეთესი უნდოდეთ, ეს ნორმალური გამოვლინებაა, მაგრამ ხანდახან, ეს ყველაფერი რეალობას უნდა შევადაროთ — რა ქვეყანა ვართ, რისი საშუალება გვაქვს და აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება მივიღოთ. მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყანაში სტაბილურობა, მშვიდობაა და ამ ფონზე, საშუალება გვაქვს ვისაუბროთ, ვიკამათოთ თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს ხელისუფლება, რამდენად სწორია მათი მართვის სტილი — ამაზე დავა და კამათი ნორმალურია. საზოგადოებას და, მათ შორის, მეც გვაქვს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრი



წარმოდგენილ კანდიდატთა შორის, რა თქმა უნდა, ბევრი რამის გათვალისწინებით, სალომე ზურაბიშვილი ნდობას ყველაზე მეტად იმსახურებს თუნდაც თავისი ბიოგრაფიის, წესიერების გათვალისწინებით. დანარჩენ კანდიდატებში პოლიტიკური ავანტიურიზმი შეიმჩნევა, ისინი მხოლოდ რევანშიზმით, ძალაუფლების წყურვილით არიან შეპყრობილნი. საშინელი საყურებელი და მოსასმენია მათი დებატები, აქ, მჟღავნდება რასაც წარმოადგენენ — საქართველოში ქალბატონის ლანძღვა არასდროს ყოფილა მოსაწონი და ღირსეული საქციელი. მათ, საკუთარი თავი მაქსიმალურად გამოამჟღავნეს. მასმედიით მუდმივად გვესმის გაუთავებელი ქილიკი, ბრალდებები, ცილისწამება, ჩანაწერები, რამაც საკმაოდ მახინჯი ფორმა მიიღო. პრეზიდენტობის ოპოზიციონერი მოსურნენი დამოუკიდებელი კანდიდატის დისკრედიტაციით არიან დაკავებულნი. ამიტომ, ამომრჩეველს არ აქვს საშუალება გაიგოს რისთვის მოდის ეს ხალხი, რა პროგრამა აქვთ, რას გააკეთებენ ქვეყნისთვის და ა.შ. „ნაცმოძრაობის“ წევრებს რომ ვუსმენ ერთი შთაბეჭდილება საკვანძო პოსტი არაკომპეტენტურ კადრებს აქვთ ჩაბარებული. მართვის სტილი ნდობაზე, კომპეტენციაზე უნდა იყოს დამყარებული და ა.შ. ვფიქრობ, უფრო ღრმა, გახსნილი პოლიტიკა უნდა იქნას წარმოებული. ჯანსაღი საზოგადოება უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული ქვეყნის აღმშენებლობაში და მათ მიერ გაჟღერებული ინიციატივები ხელისუფლებამ მეტად იღოს ყურად. მოცემულ ეტაპზე, სჯობს ეს ვითარება დარჩეს, ვიდრე ისევ არეულობაში, დესტაბილიზაციაში აღმოვჩნდეთ, რაც არავითარ ფასეულობებს, ღირებულებებს არ მოიტანს. პირიქით, მერე, წყნარ ვითარებაში უნდა ვისაუბროთ თუ რა ღირებულებების მატარებელი ხალხია შეკრებილი მმართველ ძალაშიც. იქ, ძალიან ბევრი სხვადასხვა ფასეულობის ადამიანია, ბევრიც ყოფილი ხელისუფლების მომხრე თუ თანამდებობის პირი. უნდა მოვითხოვოთ პასუხი: რა პრინციპით ხდება ეს შერწყმა. ხალხის უკმაყოფილებასაც სწორედ ეს იწვევს — რიგ სფეროებს მორალური, ზნეობრივი და პროფესიონალი კატეგორიები არ ხელმძღვანელობენ. ხელისუფლებას აუცილებლად მოუწევს საზოგადოებისთვის ამაზე პასუხის გაცემა.

**— დღემდე, სალაპარაკო თემაა წინა არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ მიერ აღებული 27%. იგივე შედეგის აცილება რამდენად შესაძლებელია?**

— ეს პროცენტი ყოველთვის იქნება. ჯერ ერთი, ადამიანები ამით თავის პირად უკმაყოფილებას გამოხატავენ: ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი დაუსაქმებელი, ღატაკია, რაც პირდაპირ ტვირთად აწევს არსებულ ხელისუფლებას. ამიტომ, ასეთი ციფრები ყოველთვის იქნება. ამ ადამიანების ნაწილი, რა თქმა უნდა, უბრალოდ, საკუთარ ინტერესებზეა ორიენტირებული და ისე აძლევს ხმას, ხოლო ნაწილი — ტყუვდება-ხოლმე, ჰგონიათ, რომ პენსიას 50 ლარს დაუმატებენ. აქვე, ვიტყვი: ისეთი სარეკლამო რგოლები, დაპირებები გადის, რაც პრეზიდენტის კომპეტენციაში არ შედის, ეს ხომ ტყუილია. ამიტომ, მგონია ხალხმა ეს ყველაფერი კარგად უნდა გააზროს და საკუთარი უკმაყოფილების გამო ქვეყნის სათავეში ის ძალა არ მოიყვანოს, რომელიც, ქვეყანასაც დააზარალებს და მათაც. ეს დასაფიქრებელია. თორემ, ეს პროცენტი ნებისმიერ საზოგადოებაში, განსაკუთრებით, ჩვენში ნორმალურია.

**— გრიგოლ ვაშაძე პრო-დასავლელად აცხადებს თავს, მის კონკურენტ სალომე ზურაბიშვილს კი პრო-რუსულობაში დებს ბრალს. ეს რამდენად ლოგიკურია?**

— სალომეს საგარეო საქმეთა მინისტრობისას, საქართველოდან რუსეთის ბაზები გავიდნენ. ამ საქმეში მას დიდი წვლილი მიუძღვის. ზოგადად, ზურაბიშვილს ძალიან დიდი დიპლომატიური გამოცდილება აქვს. ვამბობთ, რომ ჩვენი გზა ევროპისკენაა. ამ ქალბატონს დიპლომატია სწორედ ევროპაში აქვს ნასწავლი და პრაქტიკაც იქ გაიარა. ვაშაძეზე რა უნდა ვთქვა. იგი მიშას ახლობელი იყო, მოიყვანა მინისტრად და რა ქნეს?! ეს პირადი ინტერესების სფეროა. მათ მიერ ქვეყნისთვის კარგი გაკეთებული საქმე, არაფერი მახსენდება. სხვისკენ თითების ქნევას, სჯობს საკუთარ წარსულს გადახედონ. ეს ქვეყანა მართლა ჩალით კი არ არის დაფარული — ყველამ ვიცით ვაშაძე სად ცხოვრობდა, სად მუშაობდა და რას აკეთებდა. სხვათა შორის, ჩეკისტების თვისებაა: თუ ჩეკისტი თავად ხარ, ეს სასწრაფოდ სხვას უნდა გადააბრალო. ეს კაგებეს სკოლაა. ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი ლიდერი მინახავს, რომელიც თავად იყო ჩეკისტი და სხვას აბრალებდა, ლაფსასხამდა. არ გვინდა ამაზე საუბარი, ყველამ ყველაფერი იცის, ხალხს თვალებში ნაცარს ნუ აყრიან. შეიძლება ადამიანი ღარიბი იყო, მაგრამ ღირსეული და ფასეულობებზე ორიენტირებული. საქართველო ყოველთვის ღარიბი ქვეყანა იყო, მაგრამ ჩვენი წინაპრები ღირსეული ადამიანები იყვნენ. ტყუილად როდი დაგვიტოვა ილიამ ეს ტრიადა — ენა, მამული, სარწმუნოება. ჩვენ ისევ ამაზე უნდა ვიდგეთ და არა ფუფუნებაზე, ქონებაზე და ჭამა-სმაზე. მერე, ნელ-ნელა ყველაფერი განვითარდება. ამიტომ, დღეს, ძალიან მნიშვნელოვანია აქტიურობა, არჩევნებზე მისვლა და პოზიციის დაფიქსირება, რათა საკუთარი ნიჰილიზმი, უკმაყოფილება ცუდმა ძალამ არ გამოიყენოს და მერე, სანანებელი არ გაგვიხდეს. რაც შეეხება ვაშაძის პრო-დასავლელობას, იცი რა, ძალიან ცუდია, რომ დღევანდელი პოლიტიკა საერთოდ, თავის თავში ისე მარტივად მოიცავს დაპირებებსა და ტყუილს, რომ ამ ყველაფერზე ხალხს გული უცრუვდება. ვაშაძემ რაც უნდა ილაპარაკოს, ხალხმა ხომ იცის სიმართლე. გაიძახის: ევროპული სახალხო პარტია მიჭერს მხარსო. ევროპარლამენტში სხვა პარტიებიც არის. ან ვინ უჭერს ერთი მხარს? ამ პარტიის რომელიმე ლიდერმა გააკეთა მსგავსი განცხადება? მე, არ მომისმენია. შუბლზე ძარღვი აქვს გაწყვეტილი და რაც თავად აწყობს, იმას ამბობს.



**— როგორ მუშაობს მასმედია წინასაარჩევნოდ?**

— ტელევიზიებში არცერთ ნორმალურ ადამიანს მისვლა არ უნდა. ჭკვიან ხალხს კი ეძახიან, მაგრამ მათ, ფორმატიდან გამომდინარე, ასეთ გადაცემაში მონაწილეობის მიღება არ სურთ, რაც აბსოლუტურად სწორია. ჟურნალისტი რესპონდენტს აგინებინებს და ალანძღინებს კონკურენტს. მერე, ვის ეძახიან საპარწონედ, ვინ არის ეს ხალხი, რა გაუკეთებიათ ქვეყნისთვის. რა კრიტერიუმებით აფასებენ ამ ხალხს, ვისაც აზრს ეკითხებიან. ეძახიან დაპირისპირებულ მხარეებს, რათა ერთმანეთი დაჭამონ. ყველა ტელევიზიას არ ეხება, თუმცა რიგი მათგანი შოუებით დაპირისპირებას უწყობს ხელს. მასმედიას აკლია ანალიტიკური გადაცემები. საერთოდ, ნორმალურ ადამიანებს, ქართული მასმედიის ყურების სურვილიც აღარ გვაქვს.



**— გვარამიამ განაცხადა: ვინც ზურაბიშვილს მისცემთ ხმას, ყველას გიმახსოვრებთ და მერე, ვაი, თქვენი ტყავის ბრალიო.**

— გვარამიას მოწოდებებს არც ვუსმენ, არც ვკითხულობ. საერთოდ, ეგ პიროვნება თავის ტელევიზიიანად სრულებით არ მაინტერესებს. გაშიფრულნი არიან ვინც არიან და რა მიზნებიც აქვთ. რამდენიც უნდათ იყეფონ — ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის.

**— როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის ზურაბიშვილი ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში?**

— არ ვიცი, ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს. ვფიქრობ, ჩვენთან არის ერთი მნიშვნელოვანი თემა, რასაც შეიძლება პრეზიდენტი სათავეში ჩაუდგეს და საზოგადოებასთან ერთად სერიოზული მოძრაობა დაიწყოს — ეს არის ეკოლოგია და დემოგრაფია. ეს თემები, მე თუ მკითხავთ, პოლიტიკაზე და ეკონომიკაზე მეტად საყურადღებოა. ამ თემას სათანადო ყურადღება თუ არ მიექცა, მთელი ეკონომიკა და მასთან ერთად სახელმწიფოც, უკან დაგვრჩება. ჯობია, თავიდანვე ვიაქტიუროთ და სასურველ კანდიდატს დავუჭიროთ მხარი, რათა მეორე ტური საჭირო არ გახდეს. თუმცა, ესეც არ არის პრობლემა. დემოკრატიულ არჩევნებში, ძალიან ბევრ ქვეყანაში, სწორედ მეორე ტურში წყდება კანდიდატის ბედი.

**— ვაშაძე შეგვპირდა სააკაშვილს შევიწყალებო. ამას რა მოჰყვება?**

— ვაშაძე რომ მოვიდეს პრეზიდენტად, ჩათვალე, საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივა. ეს გვინდა? „ნაციონალებს“ შეიძლება სწორედაც ეს სურთ. მათთვის ქვეყანა, ხალხი როგორც მაშინ, ახლაც არაფერს წარმოადგენს. თუ ცოტა ჭკუა გვაქვს, ქვეყნის წინსვლაზე, შვილების მომავალზე და მშვიდობაზე უნდა ვიფიქროთ, არჩევნებზე მივიდეთ და იმ ბნელ ძალას, რომელიც სამოქალაქო დაპირისპირებას გეგმავს, უარი ვუთხრათ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნებში სალომე ზურაბიშვილი პირველსავე ტურში გაიმარჯვებს

## სიმართლე გითხრათ, არ მეგონა ამდენი, ბოდიში მომითხოვია და ნაბოზარი კაცი თუ ცხოვრობდა საქართველოში



***გვესაუბრება ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე, ანალიტიკოსი რეგიონალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი.***

„საერთო გაზეთს“ და მის მკითხველს პატივს რომ არ ვცემდე, ამ ბინძურ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ინტერვიუზე არ დაგთანხმდებოდით. რა თქმა უნდა, გვინდა ჩვენი მოსაზრებები საქართველოს მოსახლეობამაც იცოდეს, საზიზღარი უღირსი მეთოდებით მიზნის მიღწევის მცდელობა. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ ამდენი, ბოდიში მომითხოვია და ნაბოზარი კაცი თუ ცხოვრობდა საქართველოში. 80-იან წლებში, საქართველოში მამაკაცების უმრავლესობა კაცობაზე დებდა თავს, როგორც ჩანს, მაძღარ ადამიანს სურვილი უჩნდება მორალური ავტორიტეტიც იყოს, ამ სიტუაციამ ყველას ჩამოხსნა ნიღაბი და მათ თავიანთი ნამდვილი სახე გამოაჩინეს. მე კაცი-მამის და კაცი-პაპის გარემოცვაში ვარ გაზრდილი და ვიცი, ადამიანი საიდუმლოს რომ გაგანდობს, ის სამარეში უნდა წაიღო, თუნდაც ის კაცი მერე შენი მტერი გახდეს. ახლა პირიქით, ერთმანეთთან იმისთვის მიდიან, რომ საუბარი ჩაიწერონ და მერე ეს ადამიანი ან დააჭერინონ, ანდა ჩირქი მოსცხონ. რატომღაც ვისი საუბარიც ჩაიწერეს ის ცუდია, „ჩამწერი“ კი არა. ვთვლით, რომ ძალიან ბინძური წინასაარჩევნო კამპანიაა, სასოწარკვეთილი პოლიტიკოსების ისტერიას ჰგავს ეს ყველაფერი. განსაკუთრებულს არაფერს ველოდებით, არჩევნების მერე ერთი გაფართხალება ექნებათ ოპოზიციონერებს, ერთს კიდევ გაიბრძოლებენ, მაგრამ ვერც პოლიტიკურ ტემპერატურას აწევენ და მით უმეტეს ვერც რევოლუციამდე მიიყვანენ ვითარებას, რომ ძალით დაამხონ ხელისუფლება. 90-იანი წლების ხელისუფლებისგან განსხვავებით, დღევანდელ ხელისუფლებას თვითონაც საკმაო ძალა აქვს და ქვეყნის გარედანაც ძალიან სერიოზული მხარდაჭერა აქვს. წინა ინტერვიუშიც გითხარით და გავიმეორებ, არჩევნების შემდგომ, უახლოეს 5–6 თვეში, საქართველოში არნახული მასშტაბების ინვესტიციები შემოვა, რაც არ ყოფილა არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის მმართველობის დროს. ნაცმოძრაობის და ზოგიერთი ოპოციზიური ორგანიზაციის ისტერია იმის შესახებ, რომ საქართველომ პროდასავლურ კურსს გადაუხვია, არის მცდარი და მიზნად ისახავს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას. თვითონ ამ საპრეზიდენტო არჩევნებს პრეზიდენტის უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, ჩვენთვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს, სამაგიეროდ დიდი მნიშვნელობა აქვს ოპოზიციური პარტიებისთვის, რადგან ეს არის ტესტი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. ოპოზიციამ 28 ოქტომბრის არჩევნებში თუ ვერ შეძლო მოსახლეობის მობილიზაცია და მისთვის სასურველი „პროცენტის“ დაფიქსირება, შეიძლება ბევრი პოლიტიკური პარტია 2020 წელს საერთოდ გაქრეს პოლიტიკური სარბიელიდან. ამიტომ ყველა ცდილობს ხმების რაღაცა რაოდენობა დააფიქსიროს, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის ამ ხმებით კოალიციის შესაქმნელად სხვებთანაც ივაჭროს და საზღვარგარეთაც მოაწონოს ვინმეს თავი. აი, ეს არის ამ საპრეზიდენტო არჩევნების მთელი ანატომია, სხვა არაფერი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული არ ხდება.

საქმის კეთება თუ გინდა, სულაც არ არის საჭირო უმრავლესობაში იყო, დეპუტატის სტატუსი, ოპოზიციური პარტიის ლიდერის სტატუსი სავსებით საკმარისია, რომ რისთვისაც ხელისუფლებას აკრიტიკებ, შენ გააკეთო ის საქმე. ჩვენს ორგანიზაციას სახელისუფლებო სტატუსი არ აქვს, მაგრამ უამრავი საქმე გვაქვს გაკეთებული ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ ისე, რომ ხელისუფლებისთვის დახმარება არ გვითხოვია. 2019 წელსაც იმდენ ინვესტიციას შემოვიტანთ საქართველოში, შევარდნაძემ და სააკაშვილმა რომ ვერ შემოიტანეს. სამშობლოს სიყვარულს და ხალხზე ზრუნვას სტატუსი არ ჭირდება, თუკი ქვეყნის გარეთ ავტორიტეტი გაქვს და როგორც სერიოზულ კაცს, ისე გელაპარაკებიან. ბევრს კი ხმაურობენ, მაგრამ საქართველოში ფაქტობრივად არ გვყავს ოპოზიცია, ჩვენი აზრით, ოპოზიციონერი ის არის, ვინც უკეთესად აკეთებს იმას, რასაც ხელისუფლება ვერ აკეთებს. სააკაშვილის გუნდს, რევოლუციის გარდა, ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლის შანსი არ აქვს, ამიტომ სააკაშვილი შეეცდება სიტუაციის არევას. სააკაშვილი და მისი გუნდი რამდენიმე მიზეზის გამო ვერ გაიმარჯვებენ, პირველი — მიშა სააკაშვილს აღარ ყავს ლობი დასავლეთში, ამის დასტურია ის ფაქტი, რომ იგი გააგდეს კიევიდან და მისი დამცირება-შეურაცხყოფები ხახვივით შერჩა უკრაინის ხელისუფლებას. სააკაშვილს საქართველოში კიდევ უფრო შეუმცირდა მომხრეები, ემიგრაციაში წასული ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა, სწორედ ნაციონალების მხარდამჭერია. გარდა ამისა, ვერც 2012 წლის ვერც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ისევე, როგორც ადგილობრივ და შუალედურ არჩევნებში ნაცმოძრაობამ ვერ მოახერხა თავისი მომხრეების ოპერატიული მობილიზაცია და არჩევნებზე მიყვანა. ამდენად, ხელისუფლებას უფრო მეტი შანსი აქვს თავისი მომხრეების მობილიზაცია მოახდინოს და საარჩევნო ყუთებთან მიიყვანოს. შესაბამისად, დარწმუნებული ვართ, ხელისუფლების მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატი, ანუ სალომე ზურაბიშვილი გაიმარჯვებს ამ არჩევნებში.

**— ბატონო ზაალ, ხელისუფლების მხარდაჭერია ერთია, მაგრამ თავად საზოგადოებაც აქტიურობს, რომ კოლექტიური ნაცების საპრეზიდენტო კანდიდატებს შანსი არ დაუტოვონ. ინტერნეტსივრცეში უამრავი ადამიანი წერს, რომ სწორედ ამ კონტიგენტის არაჯანსაღმა აქტიურობამ გადააწყვეტინა არჩევნებზე მივიდნენ და ხმა სალომე ზურაბიშვილს მისცენ.**

— სააკაშვილს, ნაციონალებს, მათ მომხრეებს და სხვა ოპოზიციონერებს ჰგონით, რომ „ქართული ოცნების“ ალტერნატივა არიან, რომ საქართველოს მოსახლეობას გემოვნება არ აქვს და ის იძულებულია ან მმართველ ძალას მისცეს ხმა, ან ნაციონალებს. თუ ვინმეს არ მოწონს „ქართული ოცნება“ (არ ვგულისხმობ დედაბუდიანად ნაციონალებს), ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ კოლექტიური ნაციონალები მოწონთ და მათ მისცემენ ხმას. საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანია, რომლებიც ფიზიკურადაც დაუპირისპირდებიან ნაციონალებს და მხოლოდ „ქართული ოცნების“ ასე ვთქვათ, დამსახურებაა, რომ ამ ადამიანებმა შურისძიების სერია არ წამოიწყეს. მეორე საკითხია კოჰაბიტაციის პოლიტიკა, რის გამოც ბევრი ლანძღავს „ქართულ ოცნებას“. ჩვენ არ ვლანძღავთ, იმიტომ, რომ საქართველოს ვალდებულებები აქვს საერთაშორისო საზოგადოებასთან. მსოფლიომ ნახა, რომ 2012 წელს, დემოკრატიულად, არჩევნების გზით შეიცვალა საქართველოში ხელისუფლება და შემდეგ აღარ იყო შურისძიებები, იგივე პოლიტიკური ოპონენტების ციხეში გამომწყვდევა და ქუჩებში ხალხის დახვრეტა, რასაც ნაციონალები და მათი წინამორბედი, ედუარდ შევარდნაძე აკეთებდა. ეს „ბიჭები“ შევარდნაძის დროსაც რომ ბრძანდებოდნენ ხელისუფლებაში, რატომ გავიწყდებათ, მაშინაც ციხეები პოლიტპატიმრებით რომ იყო სავსე და ქუჩაში ხვრეტდნენ განსხვავებული პოლიტიკური ქშეხედულების მქონე ადამიანებს, ხმას რატომ არ იღებდნენ? აღარაფერს ვამბობ, თავად რომ მობრძანდნენ ხელისუფლების სათავეში, რა უბედურება დაატრიალეს.

რაც შეეხება კომპრომატებს, თუ დასაშვებია კომპრომატებით ჭიდაობა, მაშინ წინა ხელისუფლებაზე არსებული კომპრომატებიც ვნახოთ, ყველას კომპრომატი გამოვამზეუროთ, გავხსნათ არქივი. რამდენი წელია საქართველო დამოუკიდებელია, რატომ არ მივიღეთ ლუსტრაციის შესახებ კანონი? ჩვენ სულ ამას ვითხოვთ, კომპრომეტირებული ადამიანები ძალიან ადვილი გადასაბირებელი და სამართავები არიან უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მხრიდან. ვისზეც არსებობს კომპრომატები, ნუ გამოვაქვეყნებთ, საჯაროს ნუ გავხდით, მაგრამ მაგრამ ვინც უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობაშია შემჩნეული თუნდაც ერთხელ, მივიღოთ კანონი, რომ ასეთი ადამიანები ხელისუფლებაში აღარ მოვიდნენ. ასევე აუცილებლად უნდა მივიღოთ კანონი ცილისწამების შესახებ და სამშობლოს ღალატის შესახებ, ნაციონალებმა ეს ბრალდებაც გააუქმეს. სანამ ეს სამი კანონი არ ამოქმედდება, ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორება ფანტაზიის სფეროა. ვისარგებლებ შემთხვევით და მივმართავ საკანონმდებლო ორგანოს, მმართველ ძალას, რომ ეს სამი კანონი სასწრაფოდაა მისაღები.



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# სალომე ზურაბიშვილის სურამის ციხე

ესოდენი ისტერიკული საპრეზიდენტო არჩევნები მხოლოდ ზვიად გამსახურდიას დროს ვიხილეთ. ახლაც მახსენდება წერეთლის გამოსვლა, კატეგორიულობით რომ მოუწოდებდა მოსახლეობას განზე გადგომოდნენ პრეზიდენტობის კანდიდატს.

ამ გამოსვლამ ხმების ლამის 20–25 პროცენტი შემძინაო, იტყვის მოგვიანებით ნეტარხსენებული ზვიადი.

**სალომე ზურაბიშვილთან** როგორ არის საქმე? დაახლოებით იგივე სურათია, იგივე ისტერიკა, იგივე ყაყანი და წიკვინი:

მქონდა ბედნიერება მცნობოდა ცხონებული გერმანე ფაცაციას მეშვეობით რაინდული ბუნების **ჯანრი კაშია,** რომელიც გასაოცარი გემოვნების ესთეტიკისი გახლდათ და ამავდროულად მაღალი ერუდიციის პოლიტოლოგიც. აზროვნების მისეული მოდელი ბატონ სერგი საჯაიას დიდებულ ნაშრომშია აღბეჭდილი, რომელიც საქართველოს გეოსტრატეგიულ პლატფორმის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ყველაფრის გათვალისწინებით რატომ უნდა გვიკვირდეს ქალბატონი სალომეს პრაგმატული ინტელექტუალობა – **„ბრძოლა, რომელიც იწყება, არ არის მოგებული, მაგრამ ჩემს გვერდით ქართველები არიან, დღევანდელი და მომავლის ქართველები; ჩემთანაა აგრეთვე ისტორია, კულტურა, ფესვები, ტრადიციები, ყველაფერი ის, რამაც ეს ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში გადაარჩინა შემოსევებსა და დამონებას; რაღაც ძალზე ძლიერი, მაცოცხლებელი ენერგია, რომელიც დღესაც მჟღავნდება იმ ადამიანებში, რომლებიც ჩემს შესახვედრად მოდიან და მეუბნებიან: „დარჩით!"**

მერედა, ჟანა დ,არკის ქვეყნის შვილია, ეს მშვენიერი მანდილოსანი ჩვენი, მაია წყნეთელისა და ქეთევან დედოფლის სულიერი მემკვიდრეა ეს გონებადაუნჯებული ქალბატონი, რომელიც თავისი 18-თვიანი მინისტრობის წლებში არნახულ წარმატებებს მიაღწევს რუსეთის მიმართულებით, ამას არ პატიობენ, ამას უცაცხანებენ, რადგანაც ჩვენ ხომ ნიადაგ მტრულ დამოკიდებულებაში უნდა ვიყოთ ჩრდილოელ მეზობელთან, რომ ვერადროს გავთავისუფლდეთ.

ერთი, HTB-ს გადაცემა მახსენდება, სადაც თავგადაკლული ერთგულების მტკიცებაა მავანისაგან რუსებისადმი, ცხადია, ქართველების გთახსირების ხარჯზე. პირდაპირი ეთერია და ჩაერთვება **ჟირინოვსკი** მისთვის დამახასიათებელი სიფიცხით: თქვენისთანა ათას ცოცხალს ერთი მკვდარი ქართველი მირჩევნიაო – მოსჭრის. ამისთანა ვითარებაში რატომ არ ვიქნებით ანექსირებული? განა „რუსთავი-2"-ის ლოგოც ამას არ ღაღადებს ცისფერი ეკრანიდან, მეორე ტროას გაგიმართავთ დღეს იქნება თუ ხვალ-ზეგო.

წარუშლელია ქალბატონ **სალომეს ზურაბიშვილის** წიგნი **„საქართველოსკენ"**. ქალბატონ სალომეს მოვლილი აქვს ტიბეტი, მსოფლიოს ეზოტერიკული ცენტრები, ორიგინალში დაწაფებია ჟან-პოლ სარტრს, ალბერ კამიუს, ჯეიმზ ჯოისს, უილიამ ფოლკნერს, „ცნობიერების ნაკადის" ფასეულობებს თუ კლასიკას ზოგადად, ძირეულად გარკვეულა თავისი დედასაქართველოს მისსიაში, რომელიც იგივე სურამის ციხეა მისთვის, მისი უწვერული წინაპარი რომ ჩაეშენება საკუთარი ნებით. აი, როგორ საქართველოსკენ მოეშურება მეორე მანდილოსანი პოლიტიკური ფიგურა ქართულ სინამდვილეში 8 საუკუნის მერე.

გადამწყვეტი ბრძოლა ტროასთვისო, თუ განაცხადა ჰექტორმა, ყველაფერი გასაგებია, რომ პროტოიბერიული რასის გადარჩენაზეა საუბარი, მაგრამ იგივე სიტყვები თუ გაიმეორა ბერძნების წინამძღოლმა აგამემნონმა, აქაც ცალსახადაა გადმოცემული განწყობა, ოღონდ პროტოიბერიელის მიწის პირისაგან აღსახოცად. მხოლოდ მეტისური წარმომავლობის სააკაშვილის და მისი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაშია გაურკვევლობა, რებუსები, ორჭოფობა, კონკრეტულად რომელ საქართველოზეა საუბარი, ქართველები რომ ვცხოვრობთ და ვმოღვაწეობთ, თუ უქართველებო, და მიკვირს, დიდად გავსახრტებულვარ ამისთანა კატეგორიის ხალხს ქვეყნის მოღალატეს რომ ეძახიან გულუბრყვილონი. მოღალატეა ის, ვინც შენი თანამემამულე იყო ოდესღაც, ესენი კი პირწავარდნილი სახელმწიფო დამნაშავენი არიან, სამხედრო ტრიბუნალის პერსონაჟები, საერთაშორისო ტერმინოლოგიით – რეზიდენტები. ჩინებულად რომ ასრულებენ თავიანთი სულიერი მამების მითითებებს და თვალში ნაცარს აყრიან უბირ მოსახლეობას, აქაოდა, შეხეთ, რა კარგად ვაგებდით ასფალტს, როგორ მძლავრობდა ჩვენს დროში ელექტროენერგია, როგორ ვმღეროდით „თბილისოს" და იმაზე დუმან ეს დუმაშეჩვენებული ყურუმსაღები, სად-სალამათ მამაკაცებს რომ წაკუზავდნენ ხოლმე ახოსპირა ბუნკერებში ნამუსის ასახდელად; სასიცოცხლო ორგანოებს რომ ამოაცლიდნენ სხეულიდან ჯერაც სულმოხანტალე ადამიანებს.

დრაკონის ხიდს გვიშენებდნენ მშვიდობის ხიდის სახელწოდებით; ცილინდრის ფორმის, სპილოგადაყლაპული პითონის აღნაგობის პარლამენტის შენობას გვიგებდნენ ქართული კანონშემოქმედების შესასანსლად, ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის" მაგალითისამებრ; არქიტექტორ **მიკელე დე ლუკს** რა ენაღვლება, შეუკეთეს ურჩხული და გამოაჩონჩხა. შლაპანცებით გვაბიჯებენ თოხლო კვერცხებს და გვაბრტყელებნენ თავიანთი ჭკუით; ლოტოსის ყვავილის სახურავიან იუსტიციის სახლში 24-საათის განმავლობაში შეუძლია ნებისმიერ უცხოელს შეიძინოს 100, 200, 300 ჰექტარი ქართული მიწა, რომ შემდგომ კანაფის ნარკობიზნესში გაჰხვიოს სრულიად საქართველო.

პოლიტიკურ არენასთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია. გაიკრიახა ჟუჟუნა წვიმასავით გვალვიან ცაზე ჯონდი ბაღათურიამ და ეგრევე მიკულისდა; ედეპეელი ბაჩუკი ქარდავა (შეხვედრაზე რამდენიმეგზის შეხმიანებულს ციებიანივით გამირბის), ხაბაზობს ძველებურად და არის პირში წყალჩაგუბებული; ვსტუმრებივარ თავიანთ ოფისში თენგიზ ჯგუშიას და კახა კუკავას, მაგრამ რუსული ვოიაჟების შემდეგ რატომღაც მივავიწყდით – არადა, ჩამიდის ხმები – 200-ზე მეტი ქართველი დიასპორელი მილიონერი და რამდენიმე მილიარდელი სერიოზულ თანხებს გაიღებენ თურმე ქართული პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცაკი ეს ფულადი რესურსი ჯანსაღი პოლიტიკური ასპარეზის გაშლის ნაცვლად უნიტაზებისა და ჯაკუზების შეძენას ხმარდება ამათგან სავალალოდ.

ღონემიხდილი და დაუძლურებული საქათველოს საშველად მოეშურება მარადქალური მადლით ცხებული **სალომე ზურაბიშვილი**, იგივე სურამის ციხისკენ, საუკუნეების წინათ პირტიტველა მისიანი რომ ჩაშენებია საკუთარი ნებით იმ კედლების ურყეობასა და რა უფლება გვაქვს ხაბარდა-თქო, არ შევძახოთ რიგითებმა, რადგან **განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს აღებული საკუთარ თავზე; რადგანაც საჭიროა ახალი მიძრაობის შექმნა, რომელიც ამიერიდან ვერ იქნება მხოლოდ პატროფილურ ფასეულობებზე აგებული, ალბათ, გაითვალისწინებს მომავალში სამოქალაქო ინტეგრაციასაც, და რაც მთავარია, გზას გაუხსნის ნიჭიერებას, შიდა ბაზრის დაცვას, ინვესტიციების მოზიდვას ენდემური ჯიშების ასაღორძინებლად და ვინ მოსთვლის**.

აი, როგორი საქართველოსკენ, როგორი სურამის ციხისკენ მოეშურება **სალომე ზურაბიშვილი** და ფეხბედნიერი ყოფილიყოს სრულიად საქართველოსთვის თავდადებული მსწრაფველობა მისი.

**გური ოტობაია,**
მწერალი.

## გზა უფლისა











სურამის ციხე










## გზა ეშმაკისა
























# დაიჯესტი

## ფრაგმენტები „საერთო გაზეთის“ წინა ნომრებში გამოქვეყნებული მასალებიდან



### ქალბატონი, რომლის თავგადასავალი მისი სამშობლოს თავგადასავალს ჰგავს

განა პარადოქსი არ არის, დღეს, 2018 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ზურაბიშვილის შთამომავალს პრეზიდენტობას ულმერთოთა კავშირის თავმჯდომარის შვილიშვილის, მიხეილ სააკაშვილის, ფავორიტი, სსრკ-ის პოლიტიკურ ლაბორატორიაში გამოჩეკილ-გამოჯეკილი, სსრკ-ის უშიშროების სამსახურებთან მრავალწლიანი თანამშრომლობის სტაჟის მქონე გრიგოლ ვაშაძე ეცილებოდეს?

„ეს დიდი პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩემი პასუხისმგებლობა არ არის. მე ვარ ვალდებული ჩემი წინაპრების წინაშე, ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვინც 100 წლის წინ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ვეღარ აცოცხლა.

ძალიან ბევრი ადამიანი იყო ჩემს ოჯახში და არა მხოლოდ ჩემს ოჯახში, ვინც საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი იქნებოდა, მაგრამ ვერც პრეზიდენტი გახდა, ვერც პარლამენტარი, სახელმწიფოს ვერ ემსახურნენ, რისთვისაც ჩემზე მეტად მზად იყვნენ. ამ ადამიანების გამო ვთვლი, რომ ამ მომენტში ასეთ გამოწვევაზე უარის თქმა არ შეიძლება. ესაა ჩემი გადაწყვეტილების მთავარი მიზეზია“, — თქვა სალომე ზურაბიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

თუ ქალბატონი სალომე გრძნობს პასუხისმგებლობას თავისი წინაპრებისა და ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვინც 100 წლის წინათ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, რატომ ვერ გრძნობს ამ პასუხისმგებლობას დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო და მისი ცესკო, როდესაც საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად ისეთი ბიოგრაფიის ადამიანს არეგისტრირებს, როგორიც გრიგოლ ვაშაძეა?

ადამიანი მის მიერ განვლილი გზით, მისი ბიოგრაფიით ფასდება.

ამ ორი ადამიანის, სალომე ზურაბიშვილის და გრიგოლ ვაშაძის ბიოგრაფიების შედარება ნათელს ხდის, როგორ განსხვავებულ იდეებს და იდეალებს ემსახურებოდნენ ეს ადამიანები.

* * *

როცა ამხანაგი გრიგოლი კომპარტიაში შესვლაზე „ჩალიჩობდა“ და რუსული პოლიტიკის ლაბირინთებში გზას იკვლევდა, ქართველი ემიგრანტების ოჯახში დაბადებული სალომე ზურაბიშვილი სამშობლოსკენ ცდილობდა გზის გაჭრას.

მან ეს მხოლოდ 35 წლის ასაკში მოახერხა.

**სალომე ზურაბიშვილი:**

„საქართველოში ჩამოსვლა ამდენი წელი აკრძალული მქონდა, ჯერ საბჭოთა წყობის, მერე უკვე პირადად ვიზის აკრძალვის გამო. პირველად რომ ჩამოვედი, 35 წლის ვიყავი. გული მწყდება, მამაჩემი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოესწრო დამოუკიდებელ საქართველოს.

პოლიტიკაში მოსვლა არასდროს მდომებია, სამაგიეროდ, საქართველოს სამსახურში ყოფნის ჟინი მომყვება, როგორც მუდმივი სწრაფვა. ახალგაზრდობაში მე და ჩემი მეგობრები დემონსტრაციებს ვაწყობდით საბჭოთა ლიდერების ჩამოსვლის გასაპროტესტებლად, ხან სტატიებს ვწერდით, ხან მიმართვებს ქართულ ენაზე, რომელსაც ვავრცელებდით ჩვენი მცირე საშუალებებით, გაზეთს ვუშვებდით („ამირანი“ ქართულ ენაზე), მერე დისიდენტური მოძრაობა გაჩნდა, გამსახურდიასა და კოსტავას წერილებს ვთარგმნიდით და ვავრცელებდით სხვადასხვა ევროპულ უწყებებში... ვიღაცებს მიაჩნდათ, რომ ცოტა არანორმალური ვიყავი, იმდენად შეპყრობილი ვიყავი ამ ერთი იდეით. იმ დროს, როდესაც ახალგაზრდა გოგო თავის პირად ცხოვრებაზე უფრო უნდა ფიქრობდეს“.

საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველების ემიგრაციაში იძულებით წასული შვილებისა და შვილიშვილების დაბრუნებას სამშობლოში სწორედ ის სისტემა უქმნიდა გადაულახავ ბარიერს, რომელსაც ვაშაძეები ყურმოჭრილი მონის ერთგულებით ემსახურებოდნენ.

**უსამართლობა, უფრო ზუსტად, ბედის დაცინვა და ცინიზმი არ არის, დღეს იგივე ვაშაძეები, გნებავთ, სააკაშვილები თუ პარტიული ნომენკლატურის და საბჭოთა სპეცსამსახურების წარმომადგენელთა ნაშიერები ამ სხვისი სიცოცხლის, სხვისი სისხლის და თავგანწირვის ფასად მოპოვებულ დამოუკიდებელ საქართველოს კვლავ თავზე უპირებდნენ წამოჯდომას?**

თუმცა რაღა უპირებდნენ — ისინი არც ჩამოსულან საქართველოს კისრიდან — დამოუკიდებლობის მიღებიდან ერთი წლის თავზე ტყვიით და ცეცხლით მობრუნდნენ უკან, სახელად დემოკრატები დაირქვეს, ორიენტაცია შეიცვალეს — პროდასავლურები გახდნენ, თუმცა მორიელისა არ იყოს, ზნეს და ხასიათს ვერაფერი მოუხერხეს.

ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება, მისი პრინციპებიდან და პოზიციიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობს იმ უმსგავსობის დამთავრებას, რაზეც ამ წერილში ვილაპარაკეთ.

დროა, თუნდაც ასი წლის შემდეგ, ისტორიული სამართლიანობა აღდგეს!

**ვახტანგ ხარჩილავა**

**„სგ“ N 33, 2018 წ.**

### ირაკლი კობახიძე: ეს არის ხელმოცარული და უნიათო ფაშისტის განცხადება!

„ეს არის ხელმოცარული და უნიათო ფაშისტის განცხადება,“ — ასე გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ტელეკომპანია რუსთავი ორის დირექტორის ნიკა



გვარამიას პოსტს, რომელიც მან სალომე ზურაბიშვილის დამფინანსებლების შესახებ სოციალურ ქსელში დაწერა.

გთავაზობთ ფრაგმენტებს ირაკლი კობახიძის განცხადების ტექსტიდან:

„ნიკა გვარამია ზურაბიშვილის შემომწირველების შესახებ პოსტში წერდა, რომ „ყველა, ვინც სალომე ზურაბიშვილს ან აფინანსებს, ან კამპანიაში სხვაგვარად ეხმარება, ყველა პოლიტიკოსი, რომელიც დაყვება და მხარს უჭერს, უკიდურესად უნდა შევავიწროვო თ. უნდა დავიმახსოვროთ, და გავაძევოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან.”

“ეს ისტერიული განცხადება უსათუოდ უკავშირდება კანდიდატების არსებულ რეიტინგებს, რომელთა მიხედვითაც, სალომე ზურაბიშვილი დამაჯერებლად იგებს არჩევნებს, ხოლო ნიკა გვარამიასა და ნაციონალური მოძრაობის პარტიული კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე, შეიძლება მეორე ადგილზეც ვერ გავიდეს. ეს არის ხელმოცარული და უნიათო ფაშისტის განცხადება, რომელიც გასული 6 წლის მანძილზე არაერთგზის მწარედ დამარცხდა ქართული დემოკრატიის, საზოგადოების და სიმართლის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**„სგ“ N 37, 2018 წ.**

### სალომე ზურაბიშვილს თუ არა, აბა ვის დაუჭიროს მხარი ქართველმა ხალხმა – კაგებეშნიკ ვაშაძეს, რუსეთთან დანა-ჩანგლით მეომარ ბაქრაძეს თუ ნარკომომხმარებელ ჯაფარას?

***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტ.პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:***

**— ქალბატონო ნანა, ეკლესიის რამდენიმე წარმომადგენელი დაუპირისპირდა ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატს — სალომე ზურაბიშვილს და მისი კანდიდატურის მოხსნას ითხოვს. ამ შემთხვევაში, რასთან გვაქვს საქმე?**

— ეს ნამდვილად არ არის ეკლესიის პოზიცია, პატრიარქმა ამის შესახებ თავის წერილში დააფიქსირა. „ციანიდების“ გარდა თუ კიდევ ვინმე სხვამ გამოთქვა ასეთი პოზიცია, ეს, უბრალოდ, მხოლოდ და მხოლოდ იმ პიარის შედეგია, რომელიც საზოგადოების ფართო მასებზე ზეგავლენას ახდენს.

ინტერნეტ-სივრცეში დევს ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების პოზიციები, მათ შორის, ამერიკის ელჩის, მაკ კეინის, რომელიც „ნაციონალებს“ თავიანთ გურუდ, ღმერთად მიაჩნიათ. განა რას ამბობს განსხვავებულს ამერიკის ელჩი, მაკ კეინი ანდაც ტალიავინის დასკვნა? რატომ ამაზე არ ტეხენ „ნაცები“ ერთ ამბავს? — ისინი პირდაპირ საუბრობენ იმაზე, თუ რა როლი აქვს სააკაშვილს ქვეყნის ოკუპაციაში. რა თქმა უნდა, ეს არის სწორი, ჯანსაღი პოზიცია. თუ ჩვენს პრობლემას სახელს არ დავარქმევთ, ნებისმიერ ავადმყოფს სწორ დიაგნოზს თუ არ დაუსვამთ, მისი მკურნალობა



შეუძლებელი იქნება. ჩვენ, თუ არ გავიაზრებთ იმას რა დანაშაული ჩაიდინა „ნაცმოძრაობამ“ და სააკაშვილმა 2008 წლის ომის დროს და ვინ არის დღეს პასუხისმგებელი ტერიტორიების დაკარგვაზე, არაფერი გვეშველება. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ სააკაშვილმა, ძალაუფლების შენარჩუნებისთვის, ქართული მიწები რუსეთს გადასცა, აჩუქა. წარწერას ვერ გაუკეთებდა, ტერიტორიებს ვერ დააწერდა: სახსოვრად პუტინს მიშასგანო და ამიტომ, გააკეთა, ის რაც გააკეთა — ჩვენი ტერიტორიები რუსეთს გადასცა. თუ მკითხავთ, ამას, სალომე ზურაბიშვილი კიდევ რბილი ფორმით ამბობს. მე, უფრო მკაფიოდ და მეტსაც ვიტყოდი.

**„სგ“ N 35, 2018 წ.**

### სამგზის ვიმეორებ: ხმას ვაძლევ სალომე ზურაბიშვილს! ხმას ვაძლევ სალომე ზურაბიშვილს! ხმას ვაძლევ სალომე ზურაბიშვილს! მოვიდნენ ახლა და კარგად დამიმახსოვრონ!

**გვესაუბრება აკადემიკოსი, მწერალი ელიზბარ ჯაველიძე:**

**— ბატონო ელიზბარ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი კვირა რჩება, ოპოზიცია ხელისუფლების კანდიდატის მიმართ დისკრედიტაციის მცდელობას და ცილისმწამებლურ განცხადებებს არ იშურებს. თქვენ, როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო პოლიტიკურ მარათონს?**

— ზოგადად, როცა საპრეზიდენტო კანდიდატების სიას გადავხედე და გავიფიქრე: დაიღუპა საქართველო-მეთქი. რიგ



კანდიდატებს მართლაც შეიძლება ჰქონდეთ ამ პოსტზე პრეტენზია, მაგრამ დიდ ნაწილს წარმოდგენა არ აქვს რას ნიშნავს პრეზიდენტობა. დღევანდელი გადმოსახედიდან, პრეზიდენტი ვერ განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას, ეკონომიკურ მდგომარეობას, მას არ ძალუძს არც პენსიის და არც სხვა სოციალური დანამატის მომატება. ამ დროს კი, ეს მართლაც კაგებეს აგენტი, ვაშაძე აცხადებს: პენსია 400 ლარი უნდა გახდესო და ასე რომ არ არის, ამაში ბიძინა ივანიშვილს ადანაშაულებს. რა შუაშია, ხალხნო, ივანიშვილი. ბატონმა ბიძინამ რაც საქართველოსთვის გააკეთა, ვაშაძის გვარი და ჯილაგი ამას ვერასოდეს შეძლებს. თავიდან, პირადად, ზურაბიშვილის მომხრე არ გახლდით, მაგრამ ამ ნაძირლების — „ნაციონალების“ და მისი დანაყოფების გამოსვლებს და ქილიკს რომ ვუყურებ, მიჩნდება განცდა, ხმა სწორედ, სალომე ზურაბიშვილს მივცე. ეს პირსისხლიანები რას აღარ კადრულობენ, თურმე, ქალბატონ სალომეს დიდი შეცდომა აღმოუჩინეს: ეს, რა თქვა, ომი საქართველომ დაიწყოო. გამაგებინეთ, რა ხდება, ჩვენ, საქართველოში არ ვცხოვრობთ? ამ რეგვენებს მართლა ჰგონიათ, რომ ქართველმა ერმა მახსოვრობა, ხედვა დაკარგა? აბა, ვინ დაიწყო ომი? დროშებით და გამარჯვების ზეიმით რომ შედიოდა სააკაშვილი ოსეთში, ეს, მე და თქვენ ვიყავით?! „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა ერთი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: „დედა ენაში“ იაკობ გოგებაშვილი უნდა დავაბრუნოთო. ატყდა მეორედ მოსვლა, ეს რა თქვაო. განა, ეს ტყუილია? ეს სამართლიანი აზრი, ჭეშმარიტებაა. მთავარი რამაც ნერვები მომიშალა შემდეგი გახლავთ: ეს ბაღლინჯო, სააკაშვილის ტკიპა ნიკა გვარამია რომ გამობრძანდა და განაცხადა: ვინც ზურაბიშვილს მისცემს ხმას დავიმახსოვრებ და სამაგიეროს გადავუხდიო. ამ გათახსირებულების, სისხლისმსმელების გასაგონად საჯაროდ ვაცხადებ: ხმას ვაძლევ სალომე ზურაბიშვილს. აბა, მოვიდეს ეს ნაძირალა გვარამია და კარგად დამაკვირდეს სახეზე, დამიმახსოვროს თუ ბიჭია. ახალგაზრდა ყმაწვილმა ირაკლი კობახიძემ გვარამიას, ასეთი ქმედების გამო, ფაშისტი უწოდა. ამაზეც ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს, ეს მთელი ქართული პოლიტიკის შეურაცხყოფააო. ამ „ნაციონალებს“ და მის განშტოებებს რომ გადახედავ ბოკერიადან დაწყებული ყველანი ფაშისტებზე უარესები არიან. არცერთ ფაშისტს არ გაუკეთებია ის, რაც სააკაშვილის სისტემამ გააკეთა — მამისა და მეუღლის წინაშე ადამიანი გააუპატიურეს. ასეთი რამ ფაშისტს კი არა, არცერთ ველურ ტომს არ გაუკეთებია. ეს და დანარჩენი ფაილები რაც სამეგრელოში აღმოაჩინეს, კი არ უნდა განადგურებულიყო, არამედ საზოგადოებისთვის საჯაროდ ეჩვენებინათ, რათა ყველას დაენახა ამ პირსისხლიანი ფაშისტების ნამდვილი სახე.

**„სგ“ N 38, 2018 წ.**

## სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება ქვეყნისთვის კი არა, ნაცმოძრაობისთვის იქნება კატასტროფა და მათი პოლიტიკური არსებობის დასასრული

**— ბატონო რამაზ, „ქართული ოცნება“ დამოუკიდებლ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს უჭერს მხარს. მის განცხადებას, 2008 წლის ომთან დაკავშირებით, დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. რას ფიქრობთ რა შანსები აქვს სალომეს?**

— ამ საკითხზე, ბევრი მიზეზის გამო, შეიძლება ობიექტური არ ვიყო. ჯერ ერთი, თვითონ სა-



ლომე ძალიან მესიმპატიურება — დიდი ხნის ნაცნობობა გვაქვს, მის მეუღლესაც დიდ პატივს ვცემ, ეს ფაქტორები ჩემზე მოქმედებს. ზურაბიშვილი დასაკარგი კანდიდატურა არ არის, ამ შეფასებაში ვერავინ შემედავება. იგი თავისი საქმის პროფესიონალია. შეიძლება მან, ხშირად, არ იცის პიარზე მუშაობა, არ იცის რა არის მისთვის მომგებიანი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მას ნაფიქრი არ აქვს იმაზე, რასაც ლაპარაკობს. მის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები ტენდენციურია. ბოლოს შარი მოსდეს აფხაზეთს მეზობელი უწოდაო. როგორც ირკვევა ასეთი კონტექსტი იყო: ის საუბრობდა სამეგრელოს მეზობელ აფხაზეთზე, ანუ იგი, აფხაზურ-მეგრულ ურთიერთობებზე მსჯელობდა. ეს სხვადასხვა რამ არის. აფხაზეთი სამეგრელოს მეზობლად რომ არის, ამას ნებისმიერ გეოგრაფიის სახელმძღვანელოში ამოიკითხავთ. რატომ უნდათ ზურაბიშვილის გაფუჭება? — იმიტომ, რომ ის რაც სამაჩაბლოს ომის დაწყებაზე თქვა, სინამდვილეში, სხვაგვარად იკითხება. მან, რეალურად, საქართველო კი არა, სააკაშვილი დაადანაშაულა. ეს სააკაშვილის წინააღმდეგ ნათქვამი განცხადებაა. თუ დააკვირდებით ზურაბიშვილი მიუღებელი სწორედ სააკაშვილის მომხრეებისთვისაა. ასე, რომ სალომეს გამარჯვების შემთხვევაში სააკაშვილის მომხრეებმა იციან: მათ პრეზიდენტის სავარძელში შეურიგებელი მეტოქე დახვდებათ. ზურაბიშვილი კოჰაბიტაციისკენ გადახრილი პრეზიდენტი არ იქნება. სწორედ ამაშია ყველაზე უფრო ძაღლის თავი დამარხული — თუ რატომ არის ასეთი შეურიგებლობა, ოპოზიციური პარტიების მხრიდან, სალომე ზურაბიშვილის მიმართ. ამ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობა“ როცა მას უტევს საკუთარ თავს იცავს.

სალომე ზურაბიშვილს სთხოვენ კანდიდატურა მოხსნას ხომ? ვის აწყობს, თუ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ასარჩევი კანდიდატი აღარ დარჩებათ? — ისევ და ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ ხომ? მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ზურაბიშვილმა პიარს ცოტა მეტი ყურადღება არ უნდა მიაქციოს. იმ პირდაპირობას, რაც აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლებს ახასიათებთ. იგი იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, რაც პროფესიონალიზმის დასტურად მიაჩნია. დიახ, ზურაბიშვილი იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, უბრალოდ, იგი, ამჟამად, საჯარო პოლიტიკაში ჩაერთო და დახმარება ესაჭიროება.

**„სგ“ N 34, 2018 წ.**

## გრიგოლეტო – მიშას და ვოვას ერთობლივი ოპერის მთავარი სოლისტი

***გვესაუბრება კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:***

**— ბატონო გოგა, სახეზეა საარჩევნო კამპანია — ბრძოლა წესების გარეშე. „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილ კანდიდატს „ნაციონალები“ ღალატში სდებენ ბრალს.**

— პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ეს ბრალდება არ არის. პირისთვის ბრალის წაყენება სამძებრო ორგანოებში ხდება, ეს კი ცილისწამება, სადისტურ-ბოლშევიკური მეთოდოლოგია გახლავთ, რასაც „ნაცმოძრაობა“ ყოველთვის ძალიან აქტიურად იყენებდა იმიტომ, რომ ამ პარტიის დამფუძნებელის ფესვები ბოლშევიკური, ჩეკისტური სამყაროდან მოდის. მხედველობაში მყავს მიხეილ სააკაშვილი თავის ბიძიანად. ერთიც და მეორეც საბჭოთა კავშირის უშიშროების სამჭედლოში გაიზარდნენ, ვგულისხმობ, მოსკოვის და კიევის დიპლომატიურ აკადემიას. ორივე ამ ინტერესების დაცვას ემსახურებოდნენ. იქვეა, ვაშაძეც, რომელიც 1976-დან 1981 წლამდე



(სტალინის მერე, ასეთი რეპრესიები, დისიდენტური საქმიანობის და იმ ადამიანების მიმართ, ვინც თავისუფლებისთვის იღწვოდა და ილტვოდა, საბჭოთა კავშირიში არასოდეს ყოფილა) მოსკოვის დიპლომატიურ აკადემიაში სწავლობდა. იგი, დღესაც, ამ ბნელ დაწესებულებას, მშვიდობისა და თავისუფლების კუნძულს ეძახის. საბჭოთა დიპლომატია გარდა უშიშროების სპეცსამსახურებისა სხვა არაფერი ყოფილა. საბჭოთა დიპლომატიური მისიების შესრულებისას ყველას კაგებეს სკოლა ჰქონდა გავლილი და მის დავალებებს ასრულებდა. ეს ცნობილია. დღეს, საქართველოში, ჩამოიყვანეს ცნობილი რუსი პიარ-მენეჯერი, რომელიც პუტინს არჩევნებს „ულაგებდა“, ასევე, სობჩაკის საარჩევნო პიარ-მენეჯერი იყო. ახლა, აქ, იმისთვის ჩამოიყვანეს, რომ გრიგოლეტო ვაშაძეს კრემლის იდეების განხორციელებაში დაეხმაროს. მათი მიზანია კონკურენტს ისეთი რამ დააბრალონ, რაც ყოვლად წარმოუდგენელია. ჩემი შენ გითხარიო ისე გამოსდით – მთელი ცხოვრება თავად ემსახურებოდნენ რუსულ ინტერესებს და დღესაც ამას აკეთებენ. თუმცა, ღალატი სალომეს გადააბრალეს. ამას აჰყვა პრესის ძირითადი ნაწილი. ასეთი ბნელეთით მოცული სხვა ინსტიტუცია როგორიც, უმეტეს შემთხვევაში, ქართული პრესაა, ძნელი წარმოსადგენია. მეტსაც გეტყვით, მედია-სამყარო იქამდე დაეცა, რომ ტელეეთერში პირდაპირ ცილისმწამებლური კლიპები გაჩნდა ვითომდა სალომეს მოღალატეობაზე. საზოგადოების ამაზე მეტად დაცემა წარმოუდგენელია. ბოლშევიკურ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც, 1933 წელს გერმანიაშიც, ამგვარ კამპანიებს, აზროვნებას ექვსი მილიონი ებრაელი და დაახლოებით, 12 მილიონი ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქე ემსხვერპლა. ამიტომ, ვფიქრობ, ქართველი საზოგადოებისთვის ძნელი წარმოსადგენი და გასაგები არ უნდა იყოს რასთან გვაქვს საქმე. ეს, აბსოლუტურად, დესტრუქციული ძალაა.

**„სგ“ N 36, 2018 წ.**

## გრიგოლ ვაშაძის საიდუმლო

მრავალი წლის წინ, სოციალისტური წყობილების დროს, რუსეთში მოღვაწეობდა საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით დაჯილდოებული კაცი — ვლადიმერ სერგის ძე ალხიმოვი.

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ვლადიმერ ალხიმოვი 1976 წლიდან 1986 წლამდე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს ხელმძღვანელობდა.

გუგლის საძიებო სისტემა იუწყება, რომ 1985 წელს ვლადიმერ სერგის ძის ქალიშვილმა ნატალია ალხიმოვამ და მისმა მეუღლემ, პიანისტმა ანდრეი გავრილოვმა, რომლებიც ლონდონში ცხოვრობდნენ, საბჭოთა კავშირს თხოვნით მიმართეს თავისუფალი გადაადგილების შესახებ მთელ მსოფლიოში. მათ სსრკ-ის მაშინდელი ხელმძღვანელის მიხეილ გორბაჩოვისგან თანხმობა მიიღეს, მაგრამ ამით დასრულდა ვლადიმერ ალხიმოვის კარიერა.

საბჭოთა კავშირის ბანკის მმართველი ვლადიმერ ალხიმოვი 1993 წელს გარდაიცვალა. იგი ნოვოდევიჩის სასაფლაოზეა დაკრძალული.

ვლადიმერ სერგის ძის ცხოვრებისა და გარდაცვალების შესახებ თქვენს ყურადღებას არ გავამახვილებდი, რომ არა ერთი გარემოება: რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ვლადიმერ სერგის ძის ოჯახის დრამა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატთან გრიგოლ ვაშაძესთან არის დაკავშირებული.

ამბავი, რომელსაც გიამბობთ, წლების განმავლობაში ბურუსით იყო მოცული და მას თითქოსდა საბედისწერო ტაბუ ედო.

ოფიციალურ დოკუმენტაციაში ვლადიმერ ალხიმოვის ქალიშვილის ნატალიას ერთადერთ მეუღლედ ანდრეი გავრილოვი სახელდება, თუმცა საბჭოთა კავშირში უაღრესად ცნობილი და ავტორიტრეტული პირის ვლადიმერ სერგის ძის პირველი სიძე გრიგოლ ვაშაძე გახლდათ.

საბჭოთა კავშირის საბანკო სისტემის მმართველის ალხიმოვის სიძობამ დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდა გრიგოლის კარიერულ წინსვლას და არა მხოლოდ გრიგოლ ვაშაძის, არამედ მამამისის, ნოდარ ვაშაძის კარიერასაც დიდად დაეხმარა.

გრიგოლის და ნატალიას მალე ვაჟი გაუჩნდათ, რომელსაც ნოდარი დაარქვეს. მშვენიერი იდილია სუფევდა ალხიმოვების ოჯახში, სანამ ნატალია ალხიმოვას ახალი სიყვარული არ ეწვია. ეს გახლდათ სსრკ-ში ცნობილი, წარმოშობით გუდაუთელი პიანისტი ანდრეი გავრილოვი.

ნატალია და ანდრეი ინგლისში გაიპარნენ...

ეს იყო უდიდესი დარტყმა არა მხოლოდ ალხიმოვებისა და ვაშაძეების ოჯახისთვის, არამედ საბჭოთა სისტემისთვის — სსრკ-ის გმირის, „მორალურად მდგრადი“ საბჭოთა საბანკო სისტემის ხელმძღვანელის ქალიშვილი კაპიტალისტურ ბრიტანეთში გაიქცა საყვარელთან ერთად!

ვლადიმერ სერგეევიჩმა იმდენი მოახერხა, რომ ოფიციალურ წრეებში გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს მისი ქალიშვილი პიანისტთან ერთად სამწლიანი მივლინებით გაემგზავრა ინგლისში, ამას დაემთხვა მიხეილ გორბაჩოვის თანხმობაც ნატალია ალხიმოვას თხოვნაზე მსოფლიოში თავისუფალი მიმოსვლის ლეგალიზებასთან დაკავშირებით.

ოჯახური ტრაგედიის გახმაურება არც ალხიმოვებს აძლევდა ხელს, არც ვაშაძეებს და კაცმა რომ თქვას, არც საბჭოთა ნომენკლატურას, ამიტომაც მიჩუმათდა ეს ამბავი და ტაბუ დაედო.

გრიგოლ ვაშაძეს, როგორც რუსეთში ეძახდნენ, გრიშას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსეთთან შვილი აკავშირებს, ნატალია ალხიმოვასა და მისი საერთო ვაჟი — ნოდარი, რომელიც სრულწლოვანებამდე ალხიმოვების ოჯახში იზრდებოდა და გრიშაც, როგორც ბავშვის მამა,

10 გვ. →

9 გვ. ➔

ოჯახისთვის კვლავაც ძვირფასი ფიგურა იყო, მით უფრო მას შემდეგ, რაც ვლადიმერ სერგეევიჩი ბანკის თანამდებობებიდან გაათავისუფლეს, ამ უკანასკნელმა საბჭოთა კავშირისთვის მნიშვნელოვან მოლაპარაკებაში მიიღო მონაწილეობა ამერიკულ მხარესთან ალასკის საკითხთან დაკავშირებით და მან ისევ შეძლო გავლენების მოპოვება სსრკ-ის მმართველ წრეებში.

გრიგოლ ვაშაძე დაიბადა 1958 წლის 18 ივნისს, 1981 წელს დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი. მუშაობდა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილებაში, შემდეგ კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების განყოფილებაში.

არასერიოზულია იმის ახსნა, რომ საბჭოთა დიპლომატი ამ დეპარტამენტებში არ მუშაობდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომლად ისევე, როგორც მიხეილ სააკაშვილის ბიძა, საბჭოთა დიპლომატი, კგბ-ს პოლკოვნიკი თემურ ალასანია.

1988–90 წლებში გრიგოლ ვაშაძემ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ასპირანტურა დაამთავრა. ოფიციალური მონაცემებით, 1991 წელს, როგორც ჩანს, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მითითებით, მან ოფიციალურად დატოვა დიპლომატიური სამსახური და ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად.

მაშინ ის უკვე იყო დაქორწინებული დიდი თეატრის ბალერინა ნინო ანანიაშვილზე. იმ ხანებში ცოლ-ქმარმა უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე, რადგან საქართველოს ახალი კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა ორმაგი მოქალაქეობის უფლებას.

2004 წელს ნინო ანანიაშვილი ბუბა კიკაბიძესთან ერთად სააკაშვილის პროპაგანდისტულ გუნდს შეუერთდა.

მიშამ მოიწვია ოჯახი თბილისში საცხოვრებლად და შესთავაზა კიდევაც პრიმა-ბალერინას თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელობა.

2006 წელს ნინო ანანიაშვილი მიხეილ სააკაშვილის ვაჟის ნიკოლოზის ნათლია გახდა უკრაინის მაშინდელ პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოსთან ერთად.

გრიგოლ ვაშაძეს, რომელსაც მეტსახელად, თავისი მოგრძო ულვაშების ასოციაციით, „ტარაკანასაც“ ეძახიან, 2006 წელს მიშა სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა უბოძა. შეიძლება გაგიკვირდეთ და ვაშაძე მაშინ კვლავ გახლდათ რუსეთის მოქალაქე, ამავე დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 2008 წლიდან 2012 წლამდე, სანამ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ძირი არ შეერყა სააკაშვილის ბოგინს საქართველოში.

**„სგ“ N 30, 2018 წ.**

## ვინ იყრის კენჭს საქართველოს პრეზიდენტობაზე – გრიგოლ ვაშაძე თუ ნინო ანანიაშვილი?

**გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო კლიპს რომ ნახავ, შეიძლება იფიქრო, რომ საქართველოს პრეზიდენტობაზე კენჭისყრას ბატონი გრიგოლი კი არა, მისი თანამეცხედრე ნინო ანანიაშვილი აპირებს.**

**კლიპში მთავარი ფიგურა, მთავარი პერსონაჟი, რომელზეც მაყურებლის ყურადღების აქცენტირება ხდება, სწორედ ქალბატონი ნინოა და არა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ვაშაძე.**

**ამ კლიპის ნახვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვაშაძე თავისი პირადი დამსახურებების გამო კი არ უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტად, არამედ იმის გამო, რომ ანანიაშვილის ქმარია.**

**რუსული ბალეტის ვარსკვლავის, დიდი თეატრის პრიმა-ბალერინას ანანიაშვილის ქმრობა, რა თქმა უნდა, კარგია და საამაყო, მაგრამ ეს ყველაფერი რატომ უნდა იყოს პრივილეგია საპრეზიდენტო არჩევნების დროს, აი, ეს არის გაუგებარი.**

**საპრეზიდენტო არჩევნები კი რა, ცოლების კონკურსი თუ გვაქვს, ვისი ცოლიც კონკურსში გაიმარჯვებს, იმის ქმარი ავირჩიოთ პრეზიდენტად და ამდენ ხარჯს და ნერვების წყვეტასაც გადავურჩებით.**

**მარტო გრიგოლს ხომ არ ჰყავს კარგი ცოლი, სხვებსაც შესანიშნავი მეუღლეები ჰყავთ, რომლებიც თავიანთ ქმრებს ათი თავით სჯობნიან.**

**ჰოდა, მივცეთ იმათაც შანსი, თავიანთი წვლილი შეიტანონ ქმრების გაპრეზიდენტებაში.**

**„სგ“ N 35, 2018 წ.**

## საქართველო – პოლიტიკური ანომალიების და პარადოქსების ქვეყანა

ეტყობა, „შავი მთვარის“ გავლენით გარკვეულ მომენტში იცვლება საზოგადოების ენერგეტიკა, იცვლება ცნობიერება და მოვლენების აღქმა — გეჩვენება შავი თეთრად.

„მემკვიდრენი“ შორდებიან წინაპრებს და კარგავენ ორიენტაციას;

„მემკვიდრენი“ უპირისპირდებიან „საკუთარ მომავლინებელს“ და კუმირს,... იშვება შავი ენერგია, პროტესტის ტალღა უკუ ენერგიას იძენს და ბრუნდება საკუთარი მხსნელის და პატრონისკენ.

შეიძლება ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძე იყო და არის ქართველთა ყველა დროის ფენომენალური ინტელექტი და მოძღვარი, ქართველი ერის გზის გამკვლევი.

გარკვეულმა ძალებმა ილიას წინააღმდეგ აამოქმედეს შავი ენერგია — შავი პიარი და წიწამურთან ტყვია შეაგებეს... ილიას მიმართ ეს „შავი პიარი“ დღესაც გრძელდება, არიან მემკვიდრენი იმ „შავი ენერგეტიკის“, რომლებიც ისევ ანგრევენ ერის მორალს და ზნეობრივ არქიტექტურას...

მათ არ უნდათ რუსთაველი...

არ უნდათ ილია...

არ უნდათ ვაჟა-ფშაველა...

არ უნდათ პატრიარქი...

და უნდათ ვინმე მაკკეინი — ამერიკელი სენატორი, ვიეტნამში ნატყვევი, 5 წელს ნაჯდომი „მგლის ორმოში...“...

მაკკეინი უნდათ, მაკკეინს ტირიან — ქართულმა (ანტიეროვნულმა) ტელევიზიებმა და ლიბერასტულმა სამყარომ სამდღიანი (დაუსრულებელი) „ტრაური“ გამოაცხადა.

რა ტიპის ანომალიაა? სხვათა მკვდარზე მოტირალი ერი საკუთარ თავს და მიცვალებულს რომ ვერ დასტირის(!!), საკუთარ ბედისწერას რომ ვერ აცნობიერებს.

მე კარგად მახსოვს (ჩვენ ყველას გვახსოვს), ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან ბრწყინვალე მწერლები, ხელოვნების კორიფეები, მეცნიერები, მამულიშვილები, ჩვენს ვაი-ტელევიზიებს კრინტი არ დაუძრავთ



და არც დაძრავენ. ისინი იზეიმებენ მაშინ, თუ საქართველოს გაასვენებენ! მისი არსებობის იდეას: „ენას, მამულსა და სარწმუნოებას“ დამარხავენ! მარხავენ კიდევაც ყოველ დღე და თანდათან!

ყოველ დღე მართავენ „საიდუმლო სირობებს“ ჩვენი ტელეარხები და ღიად სახელმწიფო გადატრიალების გეგმებს აწყობენ სააკაშვილების, მელიების, ვაშაძე — შალიკოების მონაწილეობით. ანომალიაა არაა, რომ ამაზე სახელმწიფოს რეაქცია არა აქვს?!.

●

„მე მწყევლიან პალატები ჩემი ნაგები“ — ეს ერთი ბრწყინვალე პოეტის საკრალური ფრაზაა!

დიახ, დგება დრო, როდესაც „მეხსიერებას“ კარგავს „ზედნაშენი“ და დევნის „თავურ“ დასაბამს, მას ავიწყდება, ვინ არის და საიდან მოვიდა!..

საზოგადოების უმადურობა ფატალურია, მას ავიწყდება და არ ახსოვს, რაც მომავლინებელმა მისცა. ერთი ტიპი ადამიანთა საკუთარ მშობლებს ჭამს, მეორე ხეზე კიდებს ფრინველების საკორტნად, მესამე — გოდორში სვამს და კლდეზე აგორებს!..

ცხოველებს არა აქვთ ეს თვისება!

●

დიახ, პოლიტიკა ზოგადად, და, კერძოდ, ქართველთა პოლიტიკა ასეთი ბინძური, ანომალიური და ველურია. ის უეჭველად მოკლავდა ილიას, გამსახურდიას, კოსტავას, შარაძეს... და მოკლეს კიდევაც...

მოკლავენ ყველას — ზოგს ტყვიით, ზოგს — ენით, ზოგს — ღალატით......

სამწუხაროა ეს ფატალური რეალობა — ყოველთვის იჩეკებიან ბერბიჭაშვილები (არ ჩამოვთვლი აქ მათ გვარებს), რომლებიც ახლა განსაკუთრებით მომრავლდნენ და პირდაპირ საპრეზიდენტო „ფსონს“ დებენ......

ყველა მათგანი ერთ ადამიანს უმიზნებს ტყვიას და, იმ ერთმა, ეს უნდა იცოდეს და იმოქმედოს!..

გვახსოვდეს: „არასოდეს ჰქონია მოძღვარს და წინასწარმეტყველს საკუთარ ქვეყანაში შენდობა!“ ეს ქრისტესეული სენტენციაა და მწარე ჭეშმარიტებას შეიცავს...

●

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მეხსიერება და მორალი არ უნდა დავკარგოთ და არანაირი გაჭირვებისა და ძალადობის კარნახით არ უნდა ვიქცეთ უმადურ რასად, ანუ სამარცხვინო „შალიკო-პალიკოებად“.

●

კაცი, რომელსაც არაფერი დაუშავებია საკუთარი ქვეყნისთვის, არაფერი წაურთმევია და მხოლოდ და მხოლოდ მიუცია, აუშენებია, გადაურჩენია, ეს უნიკალური პიროვნება 35000 ქართველ მოღვაწეს: ხელოვანს, რეჟისორს, მსახიობს, მუსიკოსს, მეცნიერს, მწერალს, პედაგოგს შემწეობას და საარსებო სახსარს აძლევს!

500-ზე მეტი ეკლესია, თეატრი, კულტურის სახლი, სამეცნიერო, სამუზეუმო შენობა აღუდგენია და აუგია ამ დიდ ქველმოქმედს და მოღვაწეს, ასობით ავადმყოფი სიკვდილისგან გადაურჩენია და სხვა ურიცხვი დაფარული სიკეთე, რომელიც მას უკეთებია! ბარაქალა მას ამ ქველობისთვის, ამ ქართველობისთვის და ამ კაცობისთვის, არ უნდა გვიხაროდეს და გვეამაყებოდეს ჩვენ ეს?! რამდენს ჰქონია სხვას ფული, რამდენი ყოფილა და არის მილიონერი, მაგრამ მსგავსი რამ არავის უკეთებია...

ბოლოს და ბოლოს XXI საუკუნის „სვეტიცხოველი აღუმართავს“ სამების გენიალური ტაძრის სახით!!!

ამ კეთილი საქმეებისთვის მაინცდამაინც ხელი უნდა მოვჭრათ?!

**კობა არაბული**

**„სგ“ N 32, 2018 წ.**





## პლაკატიკი

დავით ბაქრაძე, საერთოდ, არ გახლავთ პროტესტანტი ადამიანი, მან ხმის ამოუღებლად „გაატარა“ სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, 2007 წლის მოვლენები, 2001 წლის დარბევა, ციხეებში წამების ამბები, გაუპატიურებები, უამრავი უდანაშაულო ადამიანის გასტუმრება საიქიოში, ბიზნესების „აზევები“ და ასე შემდეგ. როგორ იტყვიან ხოლმე ჩვენში? თუ დანაშაულს ხედავ და ხმას არ იღებ, შენ უფრო მეტი დამნაშავე ხარო, ხომ? ნაღდად ეგრეა, ბატონი ბაქრაძე ხედავდა უამრავ სიბინძურეს, მაგრამ ხმას არასოდეს იღებდა, ის უბრალოდ იღიმოდა.

თუ ბატონი დავითი აგვისტოს ომის დღეებში ჩანგლებით ბრძოლისკენ მოგვიწოდებდა, შემდეგ, როცა ამ დღეებზე ამერიკელებს ფილმი გადააღებინეს, საპიაროდ ჩამოყვანილ შერონ სტოუნთან პოზირებდა და ყველის ვაჭარივით იკრიჭებოდა. მაშინ ერთ-ერთ ფოტოზე „წავიღადავე“ და ბაქრაძეს ეწყინა – ეგრევე მომწერა, ეგ საჭირო არ იყოო. შეიძლება მართლაც არ იყო საჭირო, არ ვიცი, მაგრამ თვითონ სიტუაციამ ამაღებინა ხელში კალამი.

ყველაზე მთავარი დანაშაული, რაც დავით ბაქრაძემ ჩაიდინა, ეს გახლავთ საქართველოს კონსტიტუციის გაუპატიურება და სააკაშვილის საგოდრე კისერზე მორგება. ალბათ, გახსოვთ, სააკაშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ ქვეყანაში რუსული „პონტი“ გაეთამაშებინა – როცა პრეზიდენტობის ვადა ამოეწურებოდა, პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩაბრძანდებოდა, შემდეგ კი დრო გვიჩვენებდა. ამიტომ, ბაქრაძეს უთხრა, ჩამოართვი ყველა უფლება მომავალ პრეზიდენტს, ანუ შენს თავს და გადმომეცი მე, ანუ მომავალ პრემიერსო. ამანაც აიღო, მიჭრა-მოჭრა, მიკუწ-მოკუწა და დაახლოებით მივიღეთ ის, რაც დღეს გვაქვს. ზოგს ჰგონია, დღევანდელი კონსტიტუცია ბიძინა ივანიშვილმა შეურაცხყო... არა, ბატონებო და ქალბატონებო, ეგ მიხა სააკაშვილმა ქნა დავით ბაქრაძის ხელით.

* * *

ზემოთ აღვნიშნე, ბატონ დავითს იუმორის გრძნობა არ ღალატობსმეთქი, მაშინაც კი ხუმრობს, როცა ტირის, მაგრამ ზომიერების გრძნობა აქვს მიშვებული ალჩუზე, ვერ აკონტროლებს საერთოდ. ჯერ იყო, ტელეფონით თავისი ოჯახის წევრებს ახარჯინა წელიწადში 10 ათასი ლარი ბიუჯეტიდან, როცა პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ახლა კიდევ პლაკატებს აკვრევინებს ყველგან – ტყეში, ღრეში, ქუჩებში, კედლებზე, სახურავებზე, კლდეებზე და ვინ იცის, სად, რომელ კუთხე-კუნჭულში. სხვათა შორის, სანამ პლაკატების გაკვრას დაიწყებდა, მინდოდა შემეთავაზებინა, წინა არჩევნების დროს გაკრულები ისევ არი, იყოს, რაღაზე უნდა იწვალო-მეთქი, დამეზარა და ხელი ჩავიქნიე, მე თქვენ გეტყვით, დაგიჯერებენ? ჰოდა, ამას წინებზე ბოდბისკენ გავიარე (სიღნაღის რაიონი), რას ვხედავ, ტყეში ყველა ხიდან ბაქრაძე მიყურებს! არა, მესმის, პრეზიდენტი ყველასი უნდა იყოს – ადამიანებისაც, ცხოველებისაც, ფრინველებისაც, ქვეწარმავლებისაც, მაგრამ ყველა ხეზე გაკვრა რა საჭირო იყო, ერთი-ორზე არ ეყოფოდა?

**გელა ზედელაშვილი**
**„სგ“ N 33, 2018 წ.**

## დავით უსუფაშვილი ვენებზე

მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილმა იცოდა, „რესპუბლიკელები“ უღალატებდნენ, განზე გაუდგებოდნენ, მაინც მისცა მათ სრული კარტბლანში – ადგილები პარლამენტში, ადგილები სამინისტროებში და რაც მთავარია, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა. ამავე დროს ახდა ჩემი ნათქვამიც (ამას დიდი წინასწარმეტყველება არ სჭირდებოდა), უჯიშოთა მოდგმა ტრადიციულად გადგა გვერდზე და ყველაფერზე დაიწყო ვაჭრობა. სწორედ ამ ვაჭრობის შედეგი გახლდათ, თინა ხიდაშელი რომ გახდა თავდაცვის მინისტრი. რა იყო ვაჭრობის საგანი 5 წლის განმავლობაში? უსუფაშვილს უნდა მიეღო ის კანონები და ცვლილებები, რასაც იღებს დღეს ირაკლი კობახიძე. ფაქტობრივად, დავითმა დაიწყო იმნაირივე მოქმედება, როგორც დაიწყო კომუნისტურ პარტიაში – შეყო თავი და შიგნიდან თხარა გვირაბი, დააზიანა „ქართული ოცნება“. როდესაც მას ახსენებდნენ, რომ ესა და ეს კანონიაო მისაღები, ასე და ასეა საქმე გასაკეთებელიო, ის ყოველთვის თავს იკატუნებდა და დრო გაჰყავდა. მიუხედავად ამისა, როცა წინა პარლამენტს ყავლი გაუვიდა, დავით უსუფაშვილს ბიძინა ივანიშვილმა შესთავაზა, დატოვე უჯიშოთა ჯოგი, გადმოდი „ოცნებაში“, მაინც გამოსადეგი კაცი ხარო. უარი თქვა დავითმა, თანაპარტიელებს გაუწია ანგარიში თუ რამე სხვა მოსაზრება ჰქონდა, არ ვიცი. პრინციპში, თანაპარტიელების ხათრით რომ მოქცეულიყო ასე, მაშინ აღარ დატოვებდა „რესპუბლიკურ პარტიას“ და აღარ შექმნიდა „შენების მოძრაობას“, ყოვლად უსახურ ორგანიზაციას, სადაც არც არავინ შედის, არც არავინ გამოდის.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, თავი რომ აღარ შეგაწყინოთ, დავითმა (ერთი შეხედვით) პოლიტიკური გზის გაკვლევა დამოუკიდებლად დაიწყო. დაუკვირდით, ის ყოველთვის ასე იქცეოდა, ყოველთვის იყო ურეიტინგო და თითქოს უპერსპექტივო, მაგრამ ცხოვრებაში, როგორც ბიძინა ივანიშვილი იტყვის ხოლმე, რაღაცებს გაარტყა – ბოლოს და ბოლოს, 5 წლის განმავლობაში იყო ქვეყნის მეორე პირი, 1%-იანი ადამიანისთვის განა ეს ცოტაა? კაი, ახლა იტყვით, ეგ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებააო, მაგრამ ხომ იყო, ხომ „გაარტყა“ კაცმა რაღაცას?!

რა შანსი აქვს ბატონ უსუფაშვილს, რომ გახდეს საქართველოს პრეზიდენტი? არავითარი. მაშ რატომ იყრის კენჭს, არ იცის? აი, მე მყავდა ერთი დიდი ბებია, თუ ისეთ რაღაცას ჰკითხავდნენ, რაც არ იცოდა, ეგრევე უპასუხებდა ხოლმე: ეშმაკმა რო სილა გკრათ, მე რა ვიცი?! მთლად ასე არ გიპასუხებთ, მაგრამ საქართველოში ვის თავში რა იხარშება, როგორ იხარშება, რატომ იხარშება, ძალიან ძნელი გასარკვევია!



ისე, რაღა დაგიმალოთ და... დავითი ხშირად ბასტი-ბუბუსაც მაგონებს თავისი ჰაბიტუსით და საუბრის მანერით. ეს ნამდვილად არ არის კომპრომატი, დამიჯერეთ.

**გელა ზედელაშვილი**
**„სგ“ N 35, 2018 წ.**

## ბუმერანგი

„პროდასავლელმა“ ვაშაძემ რუსი „პიარშჩიკები“ ჩამოიყვანა საარჩევნო კამპანიის ეფექტურად ჩასატარებლად, ამ პატივცემულმა რუსებმა კი ისე დაგეგმეს ვაშაძის საარჩევნო კამპანია, გეგონება, ვაშაძეს საპრეზიდენტოდ კი არა საომრად ამზადებენ.

ზოგადად, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ „ნაციონალები“ არჩევნების დღისთვის, 28 ოქტომბრისთვის კი არა, 29–30 ოქტომბრისთვის ემზადებიან, რომ ვითომ გაყალბებული არჩევნების გასაპროტესტებლად მოქალაქეები ქუჩაში გამოიყვანონ და დესტაბილიზაციის, არეულობის, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება სცადონ.

ფაშისტი გვარამია და ადგილობრივი წარმოების სხვა „ნაციონალი“ ფაშისტები რუს პიარშჩიკებთან ერთად, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ამ „დიადი“ და „ნათელი“ მიზნის რეალობად ქცევას ცდილობენ, რადგან მათ შესანიშნავად იციან, რომ ნორმალურ, მშვიდ, ობიექტურად ჩატარებულ არჩევნებში მათ მენტალურად რუს კანდიდატს გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს.

ის, რასაც „ნაციონალები“ აკეთებენ, ეს არის შეთქმულება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არსებული ხელისუფლების დამხობას ისახავს მიზნად.

როგორ უნდა იმოქმედოს საქართველოს ხელისუფლებამ ასეთ შემთხვევაში — დაელოდოს 29–30 ოქტომბერს, როცა სპეციალურად ამ სიტუაციისთვის მომზადებული „ბოევიკები“ ავტომატებით ხელში გამოვარდებიან ქუჩებში თუ წინასწარ მიიღოს ზომები ამ დივერსიის აღსაკვეთად.

არა მარტო მოქმედება, არამედ უმოქმედობაც ზოგჯერ ბუმერანგივით უბრუნდება უკან მას, ვინც მკვეთრი გადაწყვეტილების მიღებას აგვიანებს.

ამის სამწუხარო მაგალითები თუნდაც ჩვენს უახლოეს ისტორიაში მრავლად გვაქვს.

იმედია, ხელისუფლება ამ მწარე მაგალითების გათვალისწინებით იმოქმედებს და არ დაუშვებს, რომ 28 ოქტომბერი საპრეზიდენტო არჩევნების ნაცვლად, ადგილობრივმა თუ გარედან მოწვეულმა ფაშისტებმა სასაკლაოდ აქციონ.

**ვახტანგ ხარჩილავა**
**„სგ“ N 37, 2018 წ.**

## ტუტუცი

„რუსთავი-2“-ში დაბანაკებული „ნაცმოძრაობის“ პიარგენშტაბი „გაუპატიურებული ოფოფის“ სარდლობით, ოქუაშვილის თუ სუბელიანის აუდიოჩანაწერებს ყურს იქით აბამს, საითაც



სურს და ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებს, თითქოს ქვეყანაში უკვე არ არსებობს ხელისუფლება და სახელმწიფოს ბანდფორმირებები მართავენ, ასეთი დასკვნის გაკეთება კი იმისთვის სჭირდებათ, რომ ბოლოს თქვან: ხმა არ მისცეთ სალომე ზურაბიშვილს, თორემ ქვეყანა დაიღუპებაო.

ნიკა გვარამიამ უფრო მხატვრულ-მეტაფორული ფორმა აირჩია და მოსახლეობას ასე მიმართა: თუ გინდათ, ხაინდრავას ყვ.....ბში ჩარჩეთ, მოღალატე ზურაბიშვილს მიეცით ხმაო.

გვარამიას არ დაუზუსტებია, რითი სჯობს ხაინდრავას ყვ..-ებს, ვთქვათ და, ვაშაძის ყვ..-ები?

რუსეთში რომ არის ნაწრთობნავარჯიშევი და რუსული პოლიტიკის გრდემლზე რომ არის გამოკვერილი, იმით?

ნიკა გვარამია, მეტსახელად „გაუპატიურებული ოფოფი“, ტუტუცია და ამიტომაც აფათურებს ხელებს ვიღაც-ვიღაცების ყვ..-ბში.

ტუტუცი ცუდი სიტყვა არ გეგონოთ — ტუტუცი მეფის კარზე მუშაობდა და მისი მოვალეობა მეფისთვის ყვ..-ბის ფხანა იყო.

გვარამია ნაციონალების კარზე მსახურობს ტუტუცის თანამდებობაზე და ხან სააკაშვილის, ხან — ვაშაძის ყვ..-ბის ფხანა მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედის.

**ვახტანგ ხარჩილავა**
**„სგ“ N 38, 2018 წ.**

# საქართველოსკენ




ამ წიგნს შესანიშნავი დასაწყისი აქვს — დინამიკური, დამაინტრიგებელი, საინტერესოსა და მნიშვნელოვანის მოლოდინით დაყურსული, ისეთი, ექსპოზიციის ქრესტომათიულ ნიმუშადაც რომ გამოდგება.

1921 წლის 18 მარტი... ბათუმის ნავსადგურში, ფრანგულ გემზე, ის უკანასკნელი მგზავრები დგანან, რომლებიც იძულებით ტოვებენ სამშობლოს. მგზავრებს შორის არიან ივანე ზურაბიშვილი და მისი მეუღლე ნინო ნიკოლაძე. თან 15 წლის ვაჟი ახლავთ — ლევანი. გემზე ერთი ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალიც არის, აგრაფინა თავართქილაძე, ქმართან — მელქისედეკ კედიასთან ერთად. მათი შვილი უკვე საზღვარგარეთ, ლტოლვილობაში დაიბადება. გოგონას ზეინაბს დაარქმევენ. ეს ორი ოჯახი ისევე, როგორც საქართველოს გახიზნული მთავრობა, იმ განწყობით მიემგზავრება, რომ მალე აუცილებლად დაბრუნდება სამშობლოში. ეს „მალე“ შვიდ ათეულ წელს გაგრძელდება და დაბრუნებას მხოლოდ იმ ლტოლვიობაში დაბადებული გოგონას, ზეინაბისა და „ანატოლიის“ გემბანზე მყოფი ბიჭის, ლევან ზურაბიშვილის ქალიშვილიღა შეძლებს, ჯერ კიდევ არეულ-დარეული, პოსტკომუნისტური საქართველოს მღელვარე ცხოვრებაში გადაეშვება დიდი ბაბუის, ნიკო ნიკოლაძის მსგავსი გაუტეხლობითა და ბობოქარი ხასიათით; მერე კი ამ ორი ოჯახის და წინაპრების თავგადასავალს მოგვიყვება ბელეტრისტის ნიჭისა და ფხიზელი ანალიტიკოსის უნარის წყალობით.

უცხოური ხომალდის გემბანზე არის ერთი ძველი, მამაპაპეული, გაცრეცილტყავგადაკრული სკივრი, რომელიც მგზავრებთან ერთად რწევა-რწევით ტოვებს საქართველოს. ამბავი, რომელიც უნდა მოგვითხროს, ავტორისეული განცხადებით, „ამ სკივრის ამბავიცაა“. დოკუმენტურ პროზაში სიმბოლურ-მეტაფორული ელემენტის შემოტანა ბუნებრივია და ხვდები, რომ ეს იმ ქართული ზღაპრის ჯადოსნური სკივრია, რომელიც სასწაულების მოხდენაში ეხმარება პერსონაჟებს. ეს მამაპაპეული საკუთრება, რომელიც ყველგან, ყველა კონტინენტზე თან დააქვს უცხო ქვეყანაში დაბადებულსა და აღზრდილს, არა მხოლოდ მეტაფორულად, არამედ ლამის ხელშესახებად შეახსენებს დროთა დარღვეული კავშირის აღდგენის აუცილებლობას და გამუდმებით მოაგონებს შორეულ სამშობლოს.

ამ წიგნის ავტორმა ქართული ზღაპრის პერსონაჟები ერთხელ ზეპირ გამოსვლაშიც ახსენა, ოღონდ უარყოფით კონტექსტში. ქაჯები — ეს ბოროტი არსებები — მისი ბავშვური ცნობიერების უღრმეს შრეებშია დალექილი და როცა უარყოფით პერსონაჟებისათვის სახელი უნდა დაექრმია, ისინი გაიხსენა, თუმც უცხოობაში განსწავლულმა ამ მეტაფორის ასახსნელად ვერ მოიშველია აკაკის ის სტრიქონები, ყველა ჩვენგანმა სკოლის მერხიდან რომ ვიცით: „ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელს“. სწორედ ამ ქაჯებისგან ქვეყნის დახსნას გულისხმობდა იპოდრომზე შეკრებილ მომიტინგეთა წინაშე სიტყვით გამოსული საქართველოს ექსსაგარეო მინისტრი.





ამ წიგნს ზუსტად მიგნებული სათაური აქვს — „საქართველოსკენ“. მისი ავტორიც ხომ მთელი ცხოვრება საქართველოსკენ მოილტვოდა, თუმც უცხოობაშიც თავი სამშობლოსგან გაუცხოებულად არასდროს უგრძვნია. ამიტომაც ამბობს საკუთარი დაბრუნების შესახებ: „ამას დაბრუნება არ ჰქვია, პირადად მე არასოდეს დამიტოვებია ეს ქვეყანა. თავი არასოდეს მიგრძვნია ემიგრანტად და არც დღეს ვფიქრობ, რომ სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტი ვარ“.

ამ წიგნის ავტორის შორეულ სამშობლოსთან სიახლოვეს იმანაც შეუწყო ხელი, რომ იმ წრეში აღიზარდა, სადაც საფლავის ქვაც კი საქართველოს სიყვარულზე ღაღადებს. წარწერა ლევილში, თავადი დადიანის საფლავზე: „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“.

ასეთ ეპიტაფიას წიგნის ავტორის ნებისმიერი წინაპარი იმსახურებს — ნიკო ნიკოლაძე თუ მისი სიძე-ქალიშვილი — ივანე ზურაბიშვილი და ნინო ნიკოლაძე, გნებავთ, მექი კედია და მისი ქალიშვილი ზეინაბი, რომელმაც, მიუხედავად ემიგრაციაში დაბადებისა, მეუღლესთან, ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე, ლევან ზურაბიშვილთან ერთად, შვილები მისთვისაც კი უცნობი სამშობლოს სიყვარულით აღზარდა.

ამ წიგნში გამუდმებით ისმის წინაპართა ძახილი. ისინი მიწყივ უხმობენ სამშობლოსკენ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი გავლა“ არ ღირსებაა, მაგრამ „გასაკვირვებლად“ იცის, „რაა მამული!“

ამ წიგნში ჩვენი ქვეყნის უთვალავი ტკივილია გამჟღავნებული, მოყოლებული რუსული საბჭოთა ოკუპაციიდან იმ ომის ჩათვლით, რომელიც საქართველოს „რუსეთმა მოახვია თავს და აფხაზეთს ართმევს“.

ამ წიგნის ავტორს, პროფესიონალ დიპლომატს, ყველგან და ყველა სიტუაციაში უნივერსალურ იარაღად გულწრფელობა მიაჩნია. თუმც ყოველდღიურობაში გულწრფელობასთან შეზავებული მისი ემოციურობა ზოგჯერ სიფიცხედ აღიქმება. ეგებ ეს გაცხარება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ გარემომცველ სინამდვილეში ქართველის იმ იდეალურ თვისებებს ეძიებს, როგორიც უცხოობაში წარმოედგინა. ისე კი, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცის და საჯაროდაც განუცხადებია, პრეზიდენტი მოვალეა, იყოს ტოლერანტული თავისი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის მიმართ, იზრუნოს შუღლისა და დაპირისპირების აღმოსაფხვრელად, ხელი შეუწყოს გახლეჩილ-გათითოკაცებული ქვეყნის გამთლიანებას.

ჩვენც უფრო შემწყნარებელნი უნდა ვიყოთ ქართულად მეტყველებისას უცხოენოვან გარემოში აღზრდილის მიერ დაშვებული შეცდომებისადმი — მთავარი აზრი და ქმედებაა. ნუ გაგიკვირდებათ და... არ მეხამუშება მისი კუთხური „მაშვინ“. აქაც მის არაცნობიერში დავანებულ კავშირს ვხედავ მშობლიურ მიწასა თუ წინაპრებთან. ასეთ დროს გალაკტიონისეული „სისოვლე“ მახსენდება — „ცივი სისოვლე“ — ქართული მიწის სინედლით რომ სუნთქავს.

ქალბატონ სალომეს პირადად არ ვიცნობ, ტელეეკრანზე მინახავს მხოლოდ. დღეს, როდესაც პრეზიდენტის ერთერთი მთავარი ფუნქცია საგარეო ასპარეზზე ვლინდება, სწორედ ის არის ქვეყნის სახე შინ თუ გარეთ. ვფიქრობ, საქართველომ უნდა გამოიყენოს სალომე ზურაბიშვილის დიპლომატიური გამოცდილება და ერუდიცია, პიროვნული ხიბლიც, მისი ისეთივე შეუპოვარი ლტოლვა დასახული მიზნისაკენ, როგორიც სამშობლოსკენ სწრაფვაში გამოამჟღავნა.

**ამირან გომართელი**

**„სგ N38“ 2018 წ.**





# ნიკო ნიკოლაძე და ჩვენებური უმადურობა

**ამირან გომართელი:**

ყველაფრის ჩამოთვლა, რაც ნიკო ნიკოლაძეს გაუკეთებია – როგორც მწერალს, მრეწველსა და სახელმწიფო მოღვაწეს, შეუძლებელია. მოკლე აღწერასაც კი რამდენიმე ტომი არ ეყოფა. არჩილ ჯორჯაძემ მას „ულმობელი საქმის კაცი“ უწოდა. გაივლის კიდევ ერთი საუკუნე და მის შვილთაშვილსაც ვერ ჩავუთვლით მიკერძოებად – „ნიკო ნიკოლაძე ახალი საქართველოს მაშენებელია!“ (სალომე ზურაბიშვილი).

ეს ჭეშმარიტად დიდი საქმეების კაცი დაუმსახურებელი საყვედურისა და ცილისწამების ობიექტიც არაერთხელ გამხდარა. ამაზე მოგვიანებით... მანამდე ცოტა რამ გავიხსენოთ მისი მოღვაწეობიდან.





ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება. როცა აგიაშვილ-კანდელაკებმა გადამთიელ ნიკოლოზ ნოვოსელსკის ჩალის ფასად მიჰყიდეს ის ადგილი, სადაც ქვანახშირი მოიპოვებოდა, ნიკო ნიკოლაძე დიდად შეშფოთდა – „ჩვენი უმჯობესი სიმდიდრე ჩვენი ხელიდან გადის“-ო. მერე თავად გამოისყიდა აგიაშვილებისა და კანდელაკების წილი.

დიდი წვალების გადატანა და ათასგვარი ბიზნეს გეგმის შედგენა დასჭირდა, დაემტკიცებინა – ქვანახშირის გამოსაზიდად ტყიბულამდე რკინიგზის მიყვანის საჭიროება. ეს საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. 1889 წელს ს/ს საზოგადოება „ნახშირი“ დააარსა და ტყიბულის შახტებიც მთელი დატვირთვით ამუშავდა.

თბილისი-ფოთის რკინიგზამ ქუთაისს გვერდი აუარა, ქალაქი ჩიხში მოექცა, დასავლეთ საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო ცენტრმა დაქვეითება იწყო. ნიკო ნიკოლაძემ განგაში ატეხა და ქუთაისი შვიდვერსნახევრიანი ლიანდაგით ცენტრალურ მაგისტრალს დაუკავშირეს. ამ საქმეში ნიკოს ლომის წილი ედო.

ტყიბულზე ზრუნვის პარალელურად, თითქმის 10 წელიწადს, კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსს, მელერს ებრძოდა ჭიათურის მარგანეცის საბადოების ამუშავებისათვის. აქაც გაიმარჯვა.

ჭიათურიდან ფოთში შავი ქვის ურმებით ზიდვას დიდი სარგებელი არ მოჰქონდა. მთავრობას შორაპნიდან ჭიათურამდე რკინიგზის გაყვანის აუცილებლობას უმტკიცებდა. გადამთიელი მელერი ამ საქმეშიც შეეწინააღმდეგა – რკინიგზა მთავრობას ძვირი დაუჯდება, თემშარა გავიყვანოთო. ამას რა აზრი ჰქონდა. თემშარაზეც ისევ ურმებს უნდა ეჩოჩიალათ. ნიკოლაძემ მაინც თავისი გაიტანა. 1895 წელს ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიხსნა. ნიკო ნიკოლაძეს კი მაინც საყვედური ერგო. სხვებზე რა ვთქვათ, როცა ისეთმა გამოჩენილმა მოღვაწემ და პატრიოტმა, როგორიც გიორგი მაიაშვილი (ზდანევიჩი) იყო, საჯაროდ უკიჟინა – თუ რკინიგზა გაგყავდა, ბარემ ფართოლიანდაგიანი გაგეყვანაო, ეს უმადურობა იმასთან არაფერია, რაც მაშინ მოხდა, როცა ნიკო ნიკოლაძემ ფოთი გადაბუგვა-განადგურებას გადაარჩინა.

ფოთის ქალაქის თავად 1894 წელს აირჩიეს. ჭაობიანი დასახლება ნიკოლაძემ საპორტო ქალაქად გადააქცია. ფოთის მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ 1871 წელს წერდა:

„ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში. რკინის გზა ჩქარა შეაერთებს მას თბილისთან, მერე კასპიის ზღვასთან, შემდგომ როდისმე შუა აზიასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია, ინდოეთთანაც“. ეს ხომ, ფაქტობრივად, იმ „აბრეშუმის გზის“ პროექტია, რომლის განხორციელებასაც ჩვენ 150 წლის მერე ვცდილობთ.

1906 წელს ფოთის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა.

ალიხანოვ-ავარსკიმ, რომელსაც მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა „სომეხი ხალხის ღირსეული შვილი“ უწოდა, მთელი დასავლეთ საქართველო გადაწვა და გადაბუგა, როცა ფოთის ასაოხრებლად დაიძრა, მალთაყვის გზაზე ნიკო ნიკოლაძე გადაუდგა და შეაჩერა: ფოთი ერთი კვირის წინ უცხოეთში დავაზღვიე და თუ დააქცევთ, მთელი ზარალის ანაზღაურება პირადად ხელმწიფე-იმპერატორს მოუწევსო. ალიხანოვ-ავარსკი დაფრთხა – მეფე არ დავაზარალოო და უკან გაბრუნდა. ფოთი განადგურებას გადაურჩა, მხოლოდ ნიკო ნიკოლაძე ვერ გადაურჩა მოღალატისა და მთავრობასთან „შეკრულის“ იარლიყს. ასე შეამკეს ფოთელებმა თავიანთი მხსნელი და გადამრჩენი. თითქოს საბუთიც ჰქონდათ – თუ ასე ადვილად შეგეძლო ალიხანოვის შეჩერება, მაშინ რატომ არ შეაჩერე, როცა გურია გადაწვაო.


გიორგი ზდანევიჩი

მოგვიანებით, 1914 წელს, როცა ნიკო ნიკოლაძე მის მიერ აშენებული და დამშვენებული საპორტო ქალაქის მერობიდან ცრუბრალდებით გადააყენეს, კიდევ ერთხელ გაუხსენეს – თუ კარგი კაცი იყავი და მთავრობას არ ემსახურებოდი, ფოთი დანგრევა-განადგურებისაგან როგორ იხსენიო.

რა ექნა ნიკოს, აზრი აღარ ჰქონდა იმის საჯაროდ მტკიცებას, რუსის მეფის ერთგულსა და ქართველთმოძულე ალიხანოვს ჭკუით ვაჯობე და გავაცუცურაკეო.



უმადურობისა და უსამართლობის ეს გასაოცარი ფაქტი, რომელიც აღწერილია აკაკი ბაქრაძის პუბლიკაციაში „ნიკო ნიკოლაძე და ქალაქი ფოთი“ ნიკოს ბადიშის, სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ ატეხილმა ასეთივე აჟიოტაჟმა გამახსენა.

ამგვარი წრეგადასული ლანძღვა-გინებისა და ინსინუაციების ახსნას და პასუხს ისევ ნიკო ნიკოლაძესთან ვპოულობთ:

„ყოველთვის, როცა მწერალს (ჩვენს შემთხვევაში პარტიას, მედიას – ა.გ.) არაფერი აქვს სათქმელი, როცა ვერაფრით უარყოფს მოწინააღმდეგის მოსაზრებებს, როცა არ სურს სცნოს საკუთარი სისუსტე, ეტანება ინსინუაციებს, ძირს უთხრის მოწინააღმდეგის ზნეობრივ სიწმინდეს, მიმართავს ცილისწამებას და ლანძღვა-გინებას“.

# კაგებეშნიკო ვაშაძე და სააკაშვილის მონავ, ბაქრაძევ, არც იოცნებოთ საქართველოს პრეზიდენტობაზე – ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს!

**ვახტანგ ხარჩილავა:**

სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ ნაციონალების მიერ აგორებული შავი პიარი დიდი ხანია, გასცდა დასაშვებ ნორმებს და სისხლის სამართლის დანაშაულში გადაიზარდა.



ფაქტობრივად, ეს არის ადამიანის დევნა პოლიტიკური ნიშნით, მისთვის საარჩევნო კამპანიის ნორმალურ, ცივილიზებულ პირობებში ჩატარებისთვის ხელის შეშლა ნებისმიერი მეთოდებით, მისი ღირსებისა და პატივის მიზანმიმართული შელახვა გამოგონილი ბრალდებებით, რაც უაღრესად ცინიკური და ამაზრზენი ფორმებით ხორციელდება.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ნაცმოძრაობამ“ საქართველოში ინკვიზიციის შავბნელი დრო დააბრუნა და „კუდიანებზე“ ნადირობა დაიწყო.

მოვუწოდებთ საქართველოს ხელოსუფლებას — იმოქმედეთ კანონის მიხედვით და დაუსჯელობის სინდრომით გაპარპაშებულ კრიინალებს პასუხი მოსთხოვეთ.

ის, რაც სალომე ზურაბიშვილის მისამართით ხდება, ეს არა მარტო ქალბატონი სალომეს, არამედ ყველა ღირსეული და საღად მოაზროვნე ქართველის, მთელი ქართული სახელმწიფოს შეურაცხყოფაა, რადგან ხდება გაუგონარი რამ — ნამდვილი დამნაშავეების მიერ ქვეყნისა და ერის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის სხვებისთვის გადაბრალება.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ იცის, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას — თუ სალომე ზურაბიშვილი გაიმარჯვებს, ეს იქნება მათი პოლიტიკური დასასრულის დასაწყისი, რაც აუცილებლად დამთავრდება ქართული ნიურნბერგის პროცესით.

ამიტომაც იბრძვიან ისინი ასეთი თავგანწირვით სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ.

**გარდა სალომე ზურაბიშვილისა, მათთვის მისაღებია ნებისმიერი სხვა კანდიდატის გამარჯვება, რადგან ამით ნაციონალებს გადარჩენის შანსი უჩნდებათ, „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა კი საქართველოს დამარცხებას ნიშნავს.**

„ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც იცის, რომ მათი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს, არჩევნებისთვის კი არა, დესტაბილიზასიისთვის, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებისთვის, ქაოსისა და არეულობის მოსაწყობად ემზადება.



— სამარცხვინო კამპანია, რომელიც თქვენი მხრიდან წარიმართება ქალბატონი კანდიდატის მიმართ, არც კაცობა, არც არაფერი არ შეიძლება ამას ეწოდოსო, — უთხრა ირაკლი კობახიძემ ნაციონალებს.

კი, მაგრამ, რა კაცობაზე ელაპარაკებით ამათ, ბატონო ირაკლი, სად აქვთ ამათ კაცობა და ადამიანობა?

ბატონმა ირაკლიმ ისიც ბრძანა, ამათ მიერ აგორებულ შავ პიარს ჩვენ შავი პიარით არ ვუპასუხებთ, თორემ განა არ ვიცით, ვაშაძეს რუსეთი გულში რომ ჰყავს სამარადისოდ აღბეჭდილი და მისი სახით საქართველოს პრეზიდენტობაზე რუსეთის განუყოფელი ნაწილი რომ იყრის კენჭსო.

თუ ეს ყველაფერი ვიცით, მაშინ რატომ გაატარა რეგისტრაციაში საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კაცი, რომელიც ოკუპანტი ქვეყნის სიყვარულს გულით ატარებს და მისი განუყოფელი ნაწილია?

მართალია, ლუსტრაციის კანონი ვერა და ვერ მივიღეთ, მაგრამ ამხანაგი გრიგოლის ბიოგრაფიის პატრონს რა ლუსტრაცია სჭირდება, ისედაც თავიდან ბოლომდე ლუსტრირებული არ არის?

მართალია, ნაკლებად არის ეს მოსალოდნელი, მაგრამ ხომ არსებობს ალბათობა, ეს რუსეთის ნაწილი, რუსული პოლიტიკის ბარაქიანი ძუძუთი გაზრდილი, ფაქტობრივად, რუსი პოლიტიკოსი გრიგოლ ვაშაძე, რაღაც მანქანებით, საქართველოს პრეზიდენტი გახდეს?

თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, რუსეთი ზესახელმწიფოს, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ერეოდა და თუ მოინდომებს, მოსკოვის ერთი უბნის ხელა სახელმწიფოში თავისი კაცის გაყვანა არ უნდა გაუჭირდეს.

ძალიან მაინტერესებს, ეს რომ მოხდეს, რას ვშვრებით?

შავ პიარს შავი პიარით ხომ არ ვუპასუხებდითო, ვიტყვით?



ამ განცხადებამ გასული საუკუნის 90-იან წლებში ნათქვამი ერთი ისტორიული ფრაზა გამახსენა: დაე, მათ ტყვიები გვესროლონ, ჩვენ კი ვარდები ვესროლოთო.

როგორი საბედისწერო შედეგებით დამთავრდა ეს ყველაფერი, ყველას კარგად ვახსოვს...

შავ პიარს შავი პიარით არა, მაგრამ სიმართლით აუცილებლად უნდა ვუპასუხოთ.

პრობლემა ის არის, ჩვენ ამ სიმართლესაც რომ ვერ ვამბობთ ბოლომდე.

ვერ ვამბობთ ამ სიმართლეს ვერც „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი უსასტიკესი რეჟიმის შესახებ, ვერც 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შესახებ და თუ რაიმეს ვამბობთ, ვამბობთ ფრაგმენტულად, ზედაპირულად, სასხვათაშორისოდ.

არადა, ამ სიმართლის დამამტკიცებელი უამრავი ფაქტი, უამრავი დოკუმენტური მასალა არსებობს, რომლის ამოწევას და სამხილების ტომეულად დალაგებას არაფერი არ უნდა, პოლიტიკური ნების გარდა.

ეს სიმართლე, ცხადია, არ დაიმალება და, ადრე თუ გვიან, „ნაცმოძრაობას“ და მის ლიდერებს აუცილებლად მოუწევთ სამსჯავროზე წარდგენა, თუმცა აუცილებელია, ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს, რადგან ამ პროცესის დროში გაწელვამ შეიძლება ქვეყანა უკიდურესად დააზიანოს და დააძაბუნოს.

პინოჩეტი 80 თუ 82 წლის იყო, სამართალმა კარზე რომ მიუკაკუნა.

**ღმერთმა გვაშოროს და თუნდაც ყველანი რომ გავწყდეთ და ერთი ქართველი რომ დარჩეს ცოცხალი, იმ ერთი ქართველის ხელით სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, უგულავას, ბოკერიას, ბაქრაძეს, სხვებს და სხვებს, 80 წლის იქნებიან ისინი თუ 90-ის, აუცილებლად მიუკაკუნებთ სამართალი კარებზე, რადგან დანაშაული, რომელიც მათ აქვთ ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე, ჩამოწერას და ანულირებას არ ექვემდებარება.**

— აგვისტოს ომამდე რამდენიმე თვით ადრე იტალიაში სააკაშვილი შეხვდა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს. სწორედ ამ შეხვედრაზე შეთანხმდა და დაიგეგმა აგვისტოს ომის სცენარი. — არ უთქვამს ეს სალომე ზურაბიშვილს, ეს სულ სხვა პოლიტიკოსმა თქვა, თუმცა „ნაცმოძრაობას“ ამ უმძიმესი ბრალდებებისთვის არ უპასუხია, რადგან მათ ხელს არ აძლევთ ამ თემის გარშემო დისკუსიის და დებატების გამართვა — იციან, რაც აქვთ ჩადენილი და დეტალებში ჩაკირკიტება და ჩაძიება მათთვის ხელსაყრელი არ არის.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ აგვისტოს ომზე, მაგრამ ყურადღების მიღმა გვრჩება ის, რასაც სააკაშვილი აგვისტოს ომამდე აკეთებდა.

ძალიან მოკლედ, რამდენიმე წინადადებით ვიტყვი: სააკაშვილმა აღადგინა და საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში ე.წ. სამხრეთ ოსეთი, მიუერთა რა მას ახალგორიც, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს გამოეყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

სააკაშვილმა სახელი შეუცვალა კოდორის ხეობას და ზემო აფხაზეთი დაარქვა, რაც ასევე უყოყმანოდ დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენიოს ნაცვლად სააკაშვილმა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობა აღუდგინა სეპარატისტულ რეგიონებს, შექმნა სათანადო იურიდიული და სამართლებრივი ბაზისი ამ გაუგონარი მკრეხელობის „გასაპრავებლად“ და ყოველივე ეს მის მიერ დამონებულ და „დაჩმორებულ“ პარლამენტს დააკანონებინა, რის შემდეგაც ამ რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა რუსეთს არ გასჭირვებია.

დღეს რუსული მავთულხლართები აბსოლუტური სიზუსტით მისდევს სააკაშვილის და ქართული პარლამენტის მიერ გავლებულ დაკანონებულ საზღვრებს.

აი, ამ შემზარავი ღალატის ჩამდენები დღეს სხვისკენ იშვერენ ხელს...

სხვისკენ იშვერს ხელს რუსული პოლიტიკის „ასკოლკა“ ვაშასძე, სხვისკენ იშვერს ხელს სააკაშვილის დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების დამკანონებელი, სააკაშვილის პირადი „ნოტარიუსი“ ბაქრაძე, ქართული სამართალი კი დუმს და, მასთან ერთად დუმს ქართველი საზოგადოებაც, რომელიც ვერა და ვერ ახერხებს, მკვეთრად და ნათლად თქვას: ნაციონალო ფარისევლებო, არ გაბედოთ სალომე ზურაბიშვილისთვის მოღალატის დაძახება, რადგან ზურაბიშვილი კი არა თქვენ თვითონ ხართ ნამდვილი მოღალატეები და ქვეყნის გამყიდველები.

არც იმის გამბედაობა ყოფნის ვინმეს, რომ ამ ორ პოლიტიკურ შულერს, ვაშაძეს და ბაქრაძეს, პირში მიახალოს: კაგებეშნიკო ვაშაძე და სააკაშვილის მონავ, ბაქრაძევ, არც იოცნებოთ საქართველოს პრეზიდენტობაზე — ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს!

# არჩევნებია თუ ბარონ მიუნჰაუზენის ქოსატყულია შთამომავლების პარადი?

## ერთადერთი, ვინც ამომჩეველს რეალურ დაპირებებს აძლევს, სალომე ზურაბიშვილია...





*გვესაუბრება უფლებადამცველი, „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ადვოკატი გრიგოლ გაგნიძე.*

**— ბატონო გრიგოლ, საპრეზიდენტო არჩევნები კარს მოგვადგა. თქვენი ორგანიზაცია აკვირდებოდა წინასაარჩევნო პერიოდს. როგორ შეაფასებდით პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ გაწეულ კამპანიას?**

— დიახ, ჩვენი ორგანიზაცია 2012–13 წლებიდან მოყოლებული, აქტიურად აკვირდება საქართველოში ჩატარებულ ყველა არჩევნებს. სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ვმონაწილეობთ იუსტიციის სამინისტროს უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში. აქვე მინდა გითხრათ, წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები არანაკლებ მნიშვნელოვანია განვლილ საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებზე. რაც შეეხება ახლანდელ წინასაარჩევნო პერიოდს, ოპოზიციური პარტიების მხრიდან აგრესიულობით გამოირჩევა. მათთვის ჩვეული რიტორიკით, ქმედებებით, რიტმით წარმართეს წინასაარჩევნო კამპანია. გაავრცელეს ფარული ჩანაწერები, იყო ზეწოლა სხვადასხვა მედია-საშუალებებზე, მუქარა საზოგადოებაზე. გვახსოვს დანაქადნი, ვინც კონკურენტ კანდიდატს, კერძოდ, სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს, სათითაოდ დაგიმახსოვრებთ და გაგისწორდებითო. იყო ასევე აგრესიული მოწოდებები, რამაც „ქართული ოცნების“ მიმართ გულგრილი ამომრჩეველი ოპოზიციის წინააღმდეგ განაწყო. განსაკუთრებით გამაოგნებელი იყო პრეზიდეტობის კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის განცხადება კახეთში თავის მხარდამჭერებთან შეხვედრისას: „ქეჩოთი მოათრიეთ საარჩევნო უბნებზე ურჩი ამომრჩეველიო“, რაც, ფაქტობრივად, ამომრჩეველზე მუქარა და ზეწოლაა.

**— ამომრჩეველზე ზეწოლა, მუქარა წინასაარჩევნო კამპანიის დროს დასაშვებია? კანონის დარღვევად არ ითვლება?**

— ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში მსგავსი გამოთქმებისთვის საპრეზიდენტო კანდიდატი უკვე მოხსნილი იქნებოდა არჩევნებიდან. წარმოიდგინეთ, მსგავსი ხელისუფლების მხარდაჭერილ კანდიდატს რომ ეთქვა, რა აჟიოტაჟს ატეხდა აქაური ოპოზიცია. იმავე დღეს დააყენებდა კანდიდატის არჩევნებიდან მოხსნის საკითხს, გამართავდნენ ბრიფინგებს, საელჩოებს აუტალახებდნენ კარებს. თუმცა ჩვენი მოქმედი ხელისუფლება აგრესიული ოპოზიციის მიმართ შემწყნარებლურად იქცევა.




**— კიდევ რითია გამორჩეული წლევანდელი წინასაარჩევნო პერიოდი, აქვთ თუ არა რეალური პროგრამები კანდიდატებს?**

— აგრესიული რიტორიკის გარდა, წლევანდელი წინასაარჩევნო პერიოდი „მამალი“ ტყუილი დაპირებებითაც გამოირჩევა. ზოგიერთი კანდიდატი გაპრეზიდენტებისთანავე მოსახლეობას პენსიების მომატებას ჰპირდება, რაც ჩანასახშივე ტყუილია. მართალია, პრეზიდენტი საქართველოში ხელისუფლების ერთ-ერთი უმაღლესი პირია, ქვეყნის შინაურ და საგარეო საკითხები, თავისათავად უნდა აინტერესებდეს, მაგრამ ეკონომიკური საკითხები, მით უფრო, პენსიების მომატება, მის კომპეტენციაში არ შედის. ზოგიერთი კანდიდატი ამომრჩევლის გულის მოგებას ტყუილებით ცდილობს. ცრუ დაპირებები პოლიტიკაში ხშირია, მაგრამ მსგავსი შეუსრულებელი იმედი მისცე მოსახლეობას, ვფიქრობ, არაეთიკურია. ამის გარდა, უცხოეთში წასულ საქართველოს მოქალაქეებს ზოგიერთი კანდიდატი ჰპირდება, რომ მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში მიეცემათ საზღვარგარეთ ლეგალურად მუშაობის საშუალება. ესეც ტყუილია. ლეგალურად მუშაობის უფლების მოპოვებას სჭირდება მთელ რიგ ქვეყნებთან შეთანხმება, რაც იოლი არ არის. იმის ნაცვლად, უცხოეთში სამუშაოდ გახიზნულ საკუთარ მოქალაქეებს შეჰპირდნენ სამშობლოში დასაქმებას, დარჩით, სადაც ხართო, ეუბნებიან. საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნა არ უნდათ და არც აინტერესებთ. არადა, საკუთარ კერაზე ყოფნა რომელ ადამიანს არ უნდა.

**— ბატონო გრიგოლ, თქვენი აზრით, რატომ იბრძვის ასე გააფთრებით აგრესიული ოპოზიცია პრეზიდენტის სავარძლისთვის?**

— ოპოზიციას პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლის მადა გიორგი მარგველაშვილის მიერ წარმოქმნილმა ნიშამ გაუღვიძა. პრეზიდენტის სავარძელი მათ სურთ პლაცდარმად გამოიყენონ, რათა ქვეყანას შიგნიდან მიაყენონ პოლიტიკური დარტყმა. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე ღიად აცხადებს, რომ პოსტის მიღების შემთხვევაში უმალ შეიწყალებს ექს-პრეზიდენტ სააკაშვილს, მის ჯალათებს, მკვლელებს. აღნიშნული გარემოება მიგვანიშნებს, რომ ოპოზიციონერების გაპრეზიდენტების შემთხვევაში ქვეყანაში ანარქია, ქაოსი დაისადგურებს, რაც დემოკრატიულ პროცესებს დააზარალებს. სწორედ ეს უნდათ საქართველოს შინაურ თუ გარეშე მტრებს. გავიხსენოთ სააკაშვილის გამონათქვამი: „...თუ მე არ ვიქნები ხელისუფლებაში, ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილაო“. სამწუხაროდ, ვაშაძეს ან მის მრჩევლებს დაავიწყდათ და შევახსენებ, რომ მწამებლების, მკვლელების შეწყალება დანაშაულია. ეს დაადასტურა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ საქმეზე „გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“. თუმცა მოსახლეობამ კარგად იცის, რას წარმოადგენენ დღევანდელი აგრესიული ოპოზიციონერები. საქართველოს მოსახლეობას აგრესიით ვერ დააშინებენ. ჩვენი მოქალაქეები აგრესიულ იდეოლოგიას ადეკვატურ პასუხს გასცემს ფარული თუ ღია ფორმით. ნახეთ, ვინ გამოირჩევა თავიანთი აგრესიით — ვინც 2003 წლიდან მოყოლებული აშანტაჟებდა მოსახლეობას.

**— ბატონო გრიგოლ, ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა-გასაღება საქართველოში დასჯადია. ამ დროს პრეზისდენტობის კანდიდატმა ზურაბ ჯაფარიძემ მარიხუანის „ფესტივალი“ მოგვიწყო. რასთან გვაქვს საქმე? ან ეპატიება დანაშაული თუნდაც პრეზიდენტობის კანდიდატს?**

— ვინმე ჯაფარიძემ კარგად იცის, პრეზიდენტი ვერასოდეს გახდება. იგი ცდილობს, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მიიმხროს ის ახალგაზრდები, რომლებიც იზიარებენ მის „კრეატიულ“-კრეტინულ აზრებს. ვინმე ჯაფარიძეს, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ამოძრავებთ მიზანი, უკანონო ქმედებებში ჩაითრიონ ახალგაზრდები, რომელთა ბედი და მომავალი არ ანაღვლებთ.

**— დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო კამპანიაზე მინდა გკითხოთ, რომელსაც მხარს „ქართული ოცნება“ უჭერს.**

— მიუხედავად საჯარო არაარგუმენიტებული თავდასხმებისა აგრესიული ოპოზიციის მხრიდან, ქალბატონი სალომე დაბალანსებულ საარჩევნო კამპანიას აწარმოებს. იგი ტყუილ დაპირებებს არ აძლევს მოსახლეობას. მისი განცხადებით, გაპრეზიდეტნების შემთხვევაში იქნება ქვეყნის აქტიური დიპლომატი საერთაშორისო მასშტაბით. სწორედ ეს არის პრეზიდენტის ძირითადი მოვალეობა. ახლა თავად საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, რას დაუჭერს მხარს — ქვეყნის სტაბილურ განვითარებას, რასაც გვპირდება ქალბატონი სალომე, თუ აგრესიას, დესტრუქციულ გამოვლინებებს ქართულ პოლიტიკაში.

**— არჩევნები ხარჯთან არის დაკავშირებული. როგორც ვხედავთ, ოპოზიცია უფულობას არ უჩივის. საიდან ფინანსდებიან?**

— წინა რეჟიმისგან განსხვავებით, დღევანდელი ხელისუფლება ოპოზიციის მხარდამჭერ ბიზნესმენებს არ აშანტაჟებს და არც ატერორებს. ავიღოთ თუნდაც „ომეგა“, რომელსაც საბიუჯეტო დავალიანება 51 მილიონი ლარი აქვს. მიუხედავად ამისა, რამდენჯერმე გადაუვადეს გადახდის ვადა. მათი ტელეკომპანიის „იბერიის“ დახურვას ხელისუფლებას აბრალებენ, რაც არალოგიკურია.

**— და ბოლოს, ბატონო გრიგოლ, თქვენი აზრით, როგორ ჩაივლის არჩევნები, ვინ გაიმარჯვებს?**

— როგორც დამკვირვებელს, ჩემი პოზიციისა ღიად დაფიქსირების უფლება არა მაქვს. ერთს გეტყვით, გაიმარჯვებს ღირსეული. საქართველოს მოსახლეობა ბრძენია და შეუძლია ცუდის და კარგის გარჩევა. მთავარია, საზოგადოებამ იაქტიუროს. საერთოდ, იმედია, არჩევნები მშვიდობიანად ჩაივლის, გარკვეულ ძალებს კი არ ექნებათ საფუძველი და მიზეზი, მოაწყონ არეულობა.

**გია ბურდული**
551 71 27 07







# ძლიერი რეგიონები



ფოთი

### ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში

● აშშ-ის მთავრობამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „აილენდის“ კლასის ორი ხომალდი – „დიოსკურია“ და „ოჩამჩირე“ გადასცა. ცერემონია ფოთში, სანაპირო დაცვის ბაზაზე გაიმართა. ღონისძიება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და ვიცე-პრემიერმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ გახსნეს.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა: „საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა და პარტნიორობა ასეთ მაღალ დონეზე არასდროს ყოფილა. შავი ზღვა მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურაში აუცილებლად შეასრულებს განსაკუთრებულ როლს. მოხარული ვართ, რომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს კარგად ესმით შავი ზღვის რეგიონისა და ჩვენი ქვეყნის როლი მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურაში. მადლობას ვუხდი ჩვენს მეგობრებს ამ მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის“,.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ სანაპირო დაცვის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით სამკერდე ნიშნით ათი თანამშრომელი დააჯილდოვა. ხომალდების გადმოცემის პროცესში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მინისტრის მადლობის სიგელები გადაეცათ აშშ-ის სანაპირო დაცვისა და საელჩოს თავდაცვის მიმართულების მენეჯერებს.

● ნიკო ნიკოლაძე 175–19 ოქტომბერს ფოთში ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 175 წლისთავი აღნიშნეს. იუბილესთან დაკავშირებით ნიკო ნიკოლაძის ძეგლთან განთავსდა სანოტაციო დაფა. ფოთის საზღვაო ნავსადგურის მხარდაჭერით კეთილმოეწყო ტერიტორია და დაირგო მწვანე ნარგავები.

საზეიმოდ გაიხსნა ნიკო ნიკოლაძის კოშკი, სადაც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ინიციატივით რესტავრირებული ნიკოლაძისეული ავეჯი განთავსდა. კოშკის რეაბილიტაციის სამუშაოები „ქართუ ჯგუფმა“ დააფინანსა.

### 2019 წლიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამა აღდგება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის, მზია გიორგობიანის განცხადებით, 2019 წლიდან აღდგება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

„ეს პროგრამა იქნება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შემადგენელი ნაწილი, ე.წ. ქვეკომპონენტი. ამ ეტაპზე ვმუშაობთ ადგილობრივ თვითმმართველობებთან, რათა მოსახლეობის უშუალო ჩართულობით სწორად შეირჩეს პროექტები, აგრეთვე – ფინანსთა სამინისტროსთან, რათა შეჯერდეს თანხის ოდენობა“, – აღნიშნავს მინისტრის მოადგილე.

### თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არალეგალური ნაგავსაყრელების დასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობს. მერიის შესაბამისმა სამსახურებმა მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეისწავლეს დაბინძურებული ტერიტორიები, რომელთა საერთო ფართობი 163 300 კვ.მ-ს შეადგენს.

სამუშაოები ეტაპობრივად ხორციელდება და მოიცავს მუნიციპალიტეტის დასახლებებს, სადაც განსაკუთრებით მწვავედ დგას არალეგალური ნაგავსაყრელებით გამოწვეული პრობლემა.

სოფელ ჯორჯიაშვილში საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გასუფთავდა საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორია, აგრეთვე სოფელი ღოუბანიც, სადაც არალეგალური ნაგავსაყრელი განთავსებულია დასახლებულ პუნქტთან ახლოს.

სამუშაოებს ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ბაზისი“. შესყიდვის ღირებულება ხელშეკრულებით 15 999 ლარს შეადგენს.

● ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

ქალაქ თეთრიწყაროში მიმდინარეობს დუმბაძის ქუჩისა და მიმდებარე სამი ჩიხის მოასფალტება, პროექტის ფარგლებში მოიხრეშება გზის გვერდულებიც.

● მიმდინარე წელს განხორციელდა ქ. თეთრიწყაროში ჯავახიშვილის ქუჩის დარჩენილი ნაწილის და მიმდებარე ორი ჩიხის რეაბილიტაციაც, პროექტის ფარგლებში მოასფალტდა საავტომობილო გზა და მოეწყო სანიაღვრე არხები.

საერთო ჯამში ორივე ქუჩაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ერთ კილომეტრამდე საავტომობილო გზას. სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით 318 315 ლარს შეადგენს.

### გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● სოფელი ველისციხე მალე კახეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრი გახდება. ველისციხის განაშენიანების რეგულირების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. ველისციხის ვასო გოძიაშვილის სახელობის თეატრში გაიმართა სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობაც მონაწილეობდა.

პროექტის შექმნისა და სოფელ ველისციხის რეაბილიტაციის იდეა გურჯაანის მაჟორიტარ დეპუტატ დავით სონღულაშვილს ეკუთვნის. პროექტის მიზანია, ველისციხეს დაუბრუნდეს საუკუნეების წინანდელი ფუნქცია, გახდეს არქიტექტურულად მიმზიდველი, მიწისქვეშა გვირაბებითა და კაფე-ბარებით, მარნებითა და მეღვინეობის ცენტრის შექმნი თ.

● 7–9 ნოემბერს, საქართველოში პირველად, გაიმართება ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ევრაზიის ქვეყნების საერთაშორისო დეგუსტაცია-კონკურსი სახელწოდებით: „საქართველო – ღვინის სამშობლო“. იგი ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის პატრონატით ჩატარდება, ხოლო დახურვის ცერემონიას მეღვინეობის ქალაქში მდებარე „შატო ზეგაანი“ უმასპინძლებს.

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ჰერეთისკარში „აჭარული დღეები 2018“ გაიმართა. ზეიმზე მოსულ სტუმრებს შეეძლოთ დაეთვალიერებინათ ძველი აჭარული ტრადიციული ნივთები, დაეგემოვნებინათ სამზარეულო. გაიმართა სპორტული და გასართობი ღონისძიებებიც.

აჭარის დღეები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აჭარლებს მუნიციპალიტეტის მერმა ჯონდო მდივნიშვილმა პირადად მიულოცა.

ფესტივალის ორგანიზატორები არიან სათემო კავშირი „ჰერეთი“ და ლაგოდეხის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი. ღონისძიებას საფუძველი 2017 წელს ჩაეყარა და იგი აჭარული კულტურის წარმოჩენას ემსახურება.

### სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● „საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-ს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის“ – ამ პროექტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა სიღნაღის მუნიციპალიტეტში. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გოგილაშვილი, მერის მოადგილე თეიმურაზ ბალარჯიშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლები.

იმსჯელეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, მის ფასეულობებსა და მიზნებზე.

### დუშეთის მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

● ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხადას ხეობაში გზის 8,2 კმ სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია;

● სოფ. ზემო მლეთაში საყრდენი კედლის მოწყობა;

● გუდაურში ერთკილომეტრიანი გზის მონაკვეთის მოასფალტება.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გიორგი თანიაშვილმა მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა და პროექტის დეტალებს ადგილზე გაეცნო.

● უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ შუაფხოში მიმდინარეობს ნაპირსამაგრის მოწყობა. უხვი ნალექის დროს მდინარის კალაპოტი დიდდებოდა და საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობას. დამცავი ჯებირები ამ პრობლემას მოაგვარებს.



თეთრიწყარო

# ძლიერი საქართველოსთვის


მარტვილი

### მარტვილის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ მარტვილში შიდასაავტომობილო გზებზე – თბილისის, შეროზიას და დადიანის ქუჩებზე ასფალტბეტონის საფარი იგება. ჯამში მოწესრიგდება 1464 მეტრის გზა.

თბილისის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად გაეცნო.

პროექტის ღირებულება 351303 ლარს შეადგენს. სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით სრულდება.

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● პოლონელმა ექსპერტებმა, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერიასთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს.

ანაკლიის პორტის პირველი ფაზის მშენებლობის დასრულება 2020 წლის მეორე ნახევარში იგეგმება. პროექტს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ახორციელებს.

● სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის, ალექსანდრე მოწერელიას ინიციატივით, თხილის მავნებელთან ბრძოლა „კარდაკარ“ პრინციპით დაიწყება.

ალექსანდრე მოწერილიამ თხილის მავნებელთან ბრძოლის მასშტაბური ღონისძიებების გეგმა მუნიციპალიტეტის მერებს, საკრებულოს თავმჯდომარეებს, სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერებს, აგრონომებს, და დარგის სხვა სპეციალისტებს გააცნო.

### სენაკის მუნიციპალიტეტში

● ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეძაძამე-ფოცხოს საავტომობილო გზაზე, დასრულდა გზის მოხრეშვა-დატკეპნის მოსამზადებელი სამუშაოები და ამჟამად ასფალტბეტონის საფარი იგება. რამდენიმე დღეში ადგილობრივები ახალი, კეთილმოწყობილი საავტომობილო გზით ისარგებლებენ.

● ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ლეგოგიეში, მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ბეტონის საფარის დასაგებად.

● 18 ოქტომბრიდან საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში. პროექტის ღირებულება 1646 025 ლარს შეადგენს.

### ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა, მერის წარმომადგენელთან და სოფლის მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად, სოფელ ზუმში მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. სასოფლო გზის 2 კმ-ზე ასფალტბეტონი დაიგება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გზის მოხრეშვა. პროექტს რეგიონალური განვითარების ფონდი 490 000 ლარით აფინანსებს. გათვალისწინებულია ასევე სანიაღვრე არხების მოწყობა. სამუშაოები 2018 წლის 17 დეკემბერს უნდა დამთავრდეს.

### ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ტალავერში მოსახლეობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება – შიდასაავტომობილო გზის კეთილმოწყობა დაიწყო. მიმდინარე წლის ბოლომდე, სოფელში 925 გრძივ მეტრზე 18 სმ სისქის ბეტონის საფარი დაიგება. კომფორტული გზით 7000 ბენეფიციარი ისარგებლებს.

ინფრასტრუქტურულ პროექტს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შეასრულებს. ამ ეტაპზე მძიმე ტექნიკა მოსამზადებელ სამუშაოებს ახორციელებს.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება, საერთო ღირებულებით 700 000 ლარი.

სამუშაოს მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილესთან, ზაურ დარგალთან ერთად გაეცნო.

● გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ სოფელ ტალავერის ერთი უბნის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის საპროექტო სამუშაოები დაიწყო.

მუნიციპალიტეტის მერი სოფელ ტალავერში ადგილობრივ მოსახლეობასა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის საპროექტო დეპარტამენტის წარმომადგენლები ამჟამად სოფელ ტალავერში საველე სამუშოებს ატარებენ, რის საფუძველზეც, დაახლოებით ერთ კვირაში, საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდება.

პროექტის შედგენის შემდეგ გამოცხადდება სამშენებლო ტენდერი, რომლის დასრულებაც დაახლოებით 80-მდე ოჯახს სასმელი წყლის პრობლემას საბოლოოდ მოუგვარებს. სოფელ ტალავერის ძირითადი ნაწილი ამჟამად წყალუზრუნველყოფილია. სოფელში რამდენიმე ისტორიული წყარო და ათეულობით საუბნო ონკანია, რითაც მოსახლეობა სარგებლობს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ ბოლო წლების განმავლობაში, აღნიშნულ სოფელში, სასმელი წყლის საკითხის გადასაჭრელად, არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა.

კერძოდ: 2013 წელს მოაწყო სასმელი წყლის ორი ჭაბურღილი ქსელთან ერთად; 2014 წელს – სასმელი წყლის რეზერვუარის სარეაბილიტაციო, სასმელი წყლის სისტემისა და ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები; 2015 წელს – სასმელი წყლის სისტემების მოწესრიგება.

● ქალაქ ბოლნისს კიდევ ერთი ქვაფენილიანი ქუჩა შეემატება. ტენდერში გამარჯვებული კომპანია შოთა რუსთაველის ქუჩაზე ადგილობრივი ბაზალტით ქვაფენილს დააგებს. სამუშაოები კომპანიამ 45 კალენდარული დღის ვადაში უნდა დაასრულოს. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ტროტუარები და ბორდიურები. სამუშაოებზე ადგილობრივი მცხოვრებლები დასაქმდებიან.

● სოფელ რაჭისუბნის შიდაგზების კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. ტენდერში გამარჯვებული კომპანია რამდენიმე ქუჩაზე, სადაც ამ დრომდე არ ყოფილა კეთილმოწყობილი გზა, ასფალტის საფარს აგებს. შესასრულებელი სამუშაოების საერთო მოცულობა 1700 გრძივი მეტრია.

მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი სამუშაოების მიმდინარეობას ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად გაეცნო.

**დავით შერაზადიშვილი:** „საგზაო ინფარსტრუქტურის გამართვის მიზნით, მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. სოფელ რაჭისუბნის რამდენიმე ქუჩაზე შიდასაავტომობილო გზების კეთილმოწყობა უახლოეს პერიოდში დასრულდება. ამ ქუჩებზე, სოფლის დაარსების დღიდან, არ ყოფილა ასფალტირებული გზა. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები მოსახლეობის რეალურ საჭიროებებზეა მორგებული“.

● ქალაქ ბოლნისის ცენტრალურ ქუჩაზე ტროტუარების განახლება მიმდინარეობს. ძველი ფილების დემონტაჟის შემდეგ დაიწყო ბაზალტის ახალი ფილების დაგება. სამუშაო უახლოეს პერიოდში დასრულდება. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.


ბოლნისი

### დმანისის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ამამლოში იმყოფებოდა ქ. თბილისის ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი. ექიმთა ჯგუფი შეხვდა მოსახლეობას, ისაუბრეს ტუბერკულოზის დაავადებაზე, მის დროულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე. მსურველებს ჩაუტარდათ გამოკვლევები და მიეცათ შესაბამისი დანიშნულება.

შეხვედრა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის, მეგი ედიბერიძის თაოსნობით გაიმართა.

### მარნეულის მუნიციპალიტეტში

● მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ალგეთი-სადახლოს მონაკვეთის“ პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა.

ანგარიშის განხილვას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ტაბატაძე, თვითმმართველობის თანამშრომლები და საკითხით დაინტერესებული სხვა პირები.

საჯარო განხილვაში მონაწილეობა, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს შეეძლო.

● მუნიციპალიტეტში გრძელდება დასუფთავების მასშტაბური სამუშაოები. ამ ეტაპისთვის, ა(ა)იპ „სუფთა მარნეულის“ ძალისხმევით ნარჩენებისგან გასუფთავდა ოთხი ადმინისტრაციული ერთეულის 18 სოფელი.

სტიქიური ნაგავსაყრელების დასუფთავების მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად, ადმინისტრაციული ერთეულებიდან 54 ნაგავმზიდით ჯამში 540 კუბური მეტრი ნარჩენია გატანილი.

მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავების სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდება.

# სასაცილოდან სასატირლომდე, ანუ მძ..ნერში ზის და ცეხლი უკიდია

ამ რუბრიკის სათაური რეზო ჭეიშვილს დაევსესხე, აქვს მას ერთი წიგნი ამ სათაურით, სადაც სასაცილო და სასატირლო ამბებია მოთხრობილი. ჰოდა, მეც უნდა მივბაძო ბატონ რეზოს და იმ ამბებზე მოგახსენოთ, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. ისე, ალბათ, დამეთანხმებით, კომედიური ჟანრის მწერლებისთვის, პუბლიცისტებისთვის თუ რეჟისორებისთვის ძალიან მსუყე დროა, ამაზე უკეთესს ვერც ვერავინ ინატრებს – სულაც არ არის საჭირო, იჯდე და მუზას ელოდო, მოდის და მოდის თავისით სიუჟეტები. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, აგერ, ნიკა გვარამიაზე ლექსი დავწერე... ლექსი რა, დიდი ვერაფერი ნაშრომია პოეტური თვალსაზრისით, მაგრამ როცა ადამიანი გამოდის და საქვეყნოდ აღიარებს, მძ...ნერში ვზივარ, ცეცხლი მიკიდიაო, ხომ უნდა უკვდავყო მისი სახელი და დიდება რამენაირად?

ბევრი იშრომა, იღვაწა,
მიაგნო ნიკამ წამალსა,
რეცეპტიც გამოწერა,
უმატა მძ...ნერის ჭამასა.

ცხონებული ომარ კელაპტრიშვილი ცოცხალი რომ იყოს, აუცილებლად მეტყოდა: ბიჭო, დაიკიდე, ყველამ თავისი მკვდარი პატრონი იტიროსო. იტიროს და იტიროს, მაგათი პატრონი დედაც... ვისაც უნდა, მძ...ნერში იჯდეს, ვისაც უნდა – ცეცხლი ეკიდოს, რავა ახალი თქვა რამე გვარამიამ? უბრალოდ, მე იმაზე ვდარდობ პერიოდულად, რომ ამ ეშმაკის პირიდან გავარდნილ გაიძვერას ზოგიერთი უსმენს, ის ზოგიერთი მერე ჩემთან მოდის და მეკითხება: ვააა, აი, ნახე, რა ხდება? ჰო, ვნახე, მერე რა, გვარამია მთელი ცხოვრება მძ...ნერში ზის, რა გაგიკვირდათ, რა იყო მოულოდნელი? გადახედეთ მის „მოღვაწეობას", მის ნაპროკურორალობას, რა გაუკეთა ბადრი პატარკაციშვილს, რა ამბები დაატრიალა „იმედში", რამდენი ადამიანი გამოაცხადა იმ პერიოდში რუსეთის აგენტად, რომლებიც ახლა მის ფეხებთან კოტრიალობენ.



მაინც რა კაცია ეს გვარამია, სულ მძ...ნერი რომ ამოსდის პირიდან? – მეკითხებიან ხშირად, როცა კახეთში ჩავდივარ. ნუ, ეხლა, რა ვიცი, რასაც ხედავთ, ეგ არი, რააა! – ვპასუხობ მოკრძალებით, რადგან მინდა, ჯერ „გლეხობის" აზრი გავიგო. ე, ბიჭო, როგორ შეიძლება, ნორმალური ადამიანი სულ შარში იყოს? ეტყობა, მაგას ბავშვობაში ჭოჭინა დაუფრთხა და თავი რაღაცას მიარტყა, აი! – ასეთია „გლეხობის" დასკვნა. აგერ, ტიპი ისევ შარშია – გვარამია აცხადებს, რომ სუს-ი ამზადებს მისი და მიხეილ სააკაშვილის საუბრის კომბინაციურ ჩანაწერს გამოსაქვეყნებლად. თურმე ეს ინფორმაცია იმავე წყაროსგან აქვს, რომლისგანაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ ვიქტორ ჯაფარიძე უნდა შესულიყო ციხეში მირზა სუბელიანთან ჩანაწერის გასაკეთებლად, რაც მოგვიანებით პროკურატურამ გაავრცელა. ნახეთ, როგორ ქსოვს ინტრიგას – ჯერ ამბობს, ჩემი და სააკაშვილის საუბრის ჩანაწერის გავრცელებას აპირებენო, მერე კიდევ წყაროზე მიუთითებს, ეს ისაა, ამას წინებზე ნაღდი ინფორმაცია რომ მომაწოდაო. ამ ქაქიჭამიას მიქარული აქვს, მეორე ქაქიჭამიასათან ბინძური რაღაცები აქვს ნალაპარაკები და ახლა ალიბს იკეთებს:



„ჩვენ გვყავს წყაროები ყველგან და ეს წყაროები გვაწვდიან ინფორმაციას მყისიერად. შესაბამისად, ახლა ვიცით მაგალითად ინფორმაცია, რომ სუს-ი ამზადებს ჩემი და მიხეილ სააკაშვილის საუბრის ჩანაწერს გამოსაგდებად. რაღაც კომბინაცია სხვადასხვა საუბრების, იქ დამატებული ხმების და ა.შ. ამაზეც დიდი ხანია ვსაუბრობთ. დიახ, მე ველაპარაკები მიხეილ სააკაშვილს. დიახ, მე ველაპარაკები გიგი უგულავას. დიახ, მე ველაპარაკები შალვა ნათელაშვილს. დიახ, მე ველაპარაკებოდი პაატა ბურჭულაძეს, როცა ის პოლიტიკაში იყო, ირაკლი ალასანიას და ა.შ. მე ველაპარაკები ყველას, ვისთანაც მიმაჩნია, რომ ეს საჭიროა. ველაპარაკები ღია ხაზზე. არაფერი დასამალლი არ მაქვს. არავითარ დანაშაულს არ ვგეგმავ, მაქვს ჩემი პოლიტიკური სიმპათიები და ანტიპათიები. მაქვს ჩემი ხედვა საქართველოს განვითარებასთან დაკავშირებით. დიახ, ზაზა სარალიძე იყო ძალიან მნიშვნელოვანი თემა ჩვენი საუბრების გინდა მიშასთან, გინდა სხვასთან და მათ შორის ის საკითხები, როგორ დავხმარებოდით მას აქციებში, როგორ დავხმარებოდით მას გაშუქებაში. ეს მიმართულია იმისკენ, რომ ამ ადამიანმა სამართალი იპოვოს".

აი, ახლა მითხარით, რაღა აზრი აქვს რამის გამოქვეყნებას, როცა ტიპი თვითონვე აღიარებს ყველაფერს? თან ვისაც ელაპარაკა ხელისუფლების დამხობის თაობაზე, ყველა ჩაუშვა. გთხოვთ, არ გამოგრჩეთ მისი ლენინისებური პათოსი დასაწყისში, ის სიფილისიანიც ზუსტად იგივეს ამბობდა რევოლუციის წინ: ჩვენ გვყვანან მოკავშირეები ყველა სფეროში, მშრომელთა მასებში და ისინი მოქმედებენ მყისიერად. გეუბნებით, სისხლი და გენეტიკა არ იკარგება, ბოლშევიკი ბოლშევიკად რჩება მარად და მარად. ჰოდა, იმას ვამბობდი, ამ „ტრუხა" ადამიანმა თანამონაწილეებიც ჩაუშვა – ირაკლი ალასანია, შალვა ნათელაშვილი, პაატა ბურჭულაძე, გიგი უგულავა. რასაკვირველია, ამ ეტაპზე ყველა არ დაასახელა, მაგალითად, თავისი სეხნია მაჭუტაძე. თან შარვალში კუკავს, ეს არამზადა, არავითარ დანაშაულს არ ვამზადებო. არა, ამზადებდი, ამზადებ და მომავალშიც მოამზადებ, თუ ერთი საკადრისი პანჩური არ ამოგარტყეს! ქვეყნის ჩემეული განვითარების გეგმა მაქვსო, შენი გეგმა არ გაიშვა ფილარმონიის წინ, მიწისქვეშა გადასასვლელში ტუალეტი როა, იქამდე!

ამხანაგ ნიკიტას, წესით, ბადრი პატარკაციშვილის სულიც უნდა აწუხებდეს. მით უმეტეს, მას შემდეგ, რა ჩანაწერებიც მთავარმა პროკურატურამ დადო. ჩვენ, საზოგადოების გარკვეულმა წრეებმა დანამდვილებით ვიცოდით, რომ ბადრი პატარკაციშვილი მოკლეს და ამაში სააკაშვილის ხელი ერია. რა თქმა უნდა, ეს აუცილებლად ეცოდინებოდა მთავარი პროკურორის მოადგილე გვარამიასაც, რომელიც უშუალოდ ბადრის საქმეს კურირებდა და თავისებურად დამონტაჟებულ ფარულ ჩანაწერებს უშვებდა ტელევიზიით. უნდა ვაღიაროთ, გვარამია ახლაც თავის სტიქიაშია – ჭრის, კერავს, კუწავს და ნაწილ-ნაწილ უშვებს გაბოზებულთა მიერ მიწოდებულ ჩანაწერებს „რუსთავი 2"-ის ისედაც დაბინძურებულ ეთერში. ოღონდ, ის უშვებს ორ დიდ შეცდომას: პირველი – ჰგონია, რაც პატარკაციშვილთან გამოუვიდა, ივანიშვილთანაც გამოუვა; მეორე – ვერ ხვდება, რომ მძ...ნერში ყელამდე ჩაძირული ხალხის მიერ გავრცელებულ ნაგავს აღარ აქვს ეფექტი, ახლა სხვა დროა, სხვა ტექნოლოგიები, მდარე ხარისხის ჩანაწერებით ხალხს ვეღარ გააბახებ!

**გელა ზედელაშვილი**



# ვინ დაგეგმა ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა?

2006 წლის 23 ნოემბერს ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა **ФСБ**-ს ცნობილი პოლკოვნიკი ალექსანდრ ლიტვინენკო. დასავლეთის პრესა ლიტვინენკოს სიკვდილში პუტინს ადანაშაულებდა, რუსული სპეცსამსახურები – ოლიგარქ ბორის ბერეზოვსკის, ესპანეთის პოლიცია კი ლიტვინენკოს მოწამვლაში ე.წ. კანონიერი ქურდის ტარიელ ონიანის კვალს ხედავდა. **ФСБ**-ს ოფიცრის მოწამვლის გარშემო ვნებათაღელვა არც იყო ჩამცხრალი, რომ ლონდონი კვლავ მოექცა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში – 2008 წლის 12 თებერვალს ინგლისის დედაქალაქიდან 29 -კილომეტრში, ლაზერჰედში (სურეის საგრაფო) გულის შეტევით გარდაიცვალა ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი. ოლიგარქის სიკვდილი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ არავის სჯეროდა, მისი ბუნებრივად გარდაცვალების. “რადგან საქმე გვაქვს სიკვდილთან და გარდაცვლილი მხოლოდ 52 წლისაა, პოლიცია ფიქრობს, რომ სიკვდილი ძალიან საეჭვოა”განაცხადა სურეის საგრაფოს პოლიციის პრესსპიკერმა რუდ კოპერვეიდმა, პატარკაციშვილის მოწამვლაზე, პრესის გარდა, ექსპერტებიც დამაჯერებლად საუბრობდნენ. მისი პირადი ექიმი ირწმუნებოდა, რომ ბადრის გული არ აწუხებდა. გაჩნდა ეჭვი, რომ პატარკაციშვილის სიკვდილში ბერეზოვსკის ხელი ერია. სწორედ მან ნახა ის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე.2005 წლიდან სპეცსამსახურების საბრძოლო არსენალში ორკომპონენტიანი შხამები გვხვდება (საცდელ ნიმუშზე ჯერ კიდევ სიკვდილის ექიმის, მაირანოვსკის ლაბორატორიაში მუშაობდნენ). თავიდან მსხვერპლის ორგანიზმში შეჰყავთ ნეიტრალური ნივთიერება, ხოლო ორი თვის შემდეგ ადამიანი სვამს მეორე ასეთ ნეიტრალურ ინგრედიენტს (მაგ., ფინჯან ჩაის). ორგანიზმში ორი კომპონენტის ურთიერთქმედების შედეგად ადამიანი დაახლოებით ერთ კვირაში კვდება “ჩვეულებრივი”სიკვდილით” – გულის გაჩერებით... ჯერ კიდევ 2007 წლის სექტემბერში ირაკლი ოქრუაშვილმა პირდაპირ ეთერში დაადანაშაულა მიხეიილ სააკაშვილი უმძიმეს სისხლის სამართლის არაერთ დანაშაულში. მისი განცხადებით ჯერ კიდევ 2005-წელს მის და სააკაშვილს შორის შემდგარ „გულახდილ“დიალოგში მიშამ მას კითხა რას ფიქრობდა, რომ მოეშორებიათ მთავარი საფრთხე ანუ ბადრი პატარკაციშვილი და გაეცნო კონკრეტული მკვლელობის გეგმაც ოქრუაშვილმა როგორც განაცხადა პრეზიდენტს არც ჰო უთხრა და არც არა და მოფიქრებისთვის დრო მოითხოვა რადგან თუ იგი აღნიშნულ დავალებას შეასრულებდა მასაც მოიცილებდნენ. (საოცარი ახსნაა ღმერთმანი)ოქრუაშვილმა ასევე განაცხადა, რომ ხელისუფლებაში კაცისმკლელები არიან. ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ინფორმაცია აშშ ს ხელმძღვანელობისთვის შეეცადა ეცნობებინა რათა შეეჩერებიათ სააკაშვილი. „შუამავლად“ამერიკელების კაცი“გენშტაბის ხელმძღვანელი ზაზა გოგავა შეარჩია... გარკვეული დროის შემდეგ ოქრუაშვილის თქმით პრეზიდენტყოფილმა „ბადრის ჩამოცილების თემა განაახლა“შემდეგ ოქრუაშვილი სტამბულში გაფრინდა და შეხვდა პერსონას რომლის ვინაობის გამხელა, გარკვეული მიზეზების გამო არ ისურვა(ის საქართველოს მოქალაქეც არ ყოფილა) აღნიშნულის შემდეგ უახლოესი მეგობრების და „თანამებრძოლების“გზები ოქრუაშვილის გადმოცემით გაიყარა და სწორედ შემდგომ „ჩამოალაბორანტეს“თავდაცვის მინისტრყოფილი ეკონომიკის მინისტრად, სწორედ აღნიშნული მოვლენების შემდგომ მოწვეულ პრესკონფერენციაზე გაიხსენა ოქრუაშვილმა, რომ არც ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა იმ ბინაში სადაც ის რაულ უსუპოვთან ერთად „გაზით გაგუდული“ნახეს... ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც სიკვდილამდე ერთი წლით ადრე ლონდონში დამკვიდრდა, ბოლო თვეების განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ქართულ პოლიტიკაში და მხარს უჭერდა საქართველოს ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს, ის თავადაც იყო მმართველი ძალის აქტიური ოპონენტი. ბიზნესმენი კენჭს იყრიდა საქართველოს პრეზიდენტის ხუთი იანვრის არჩევნებშიც.

პატარკაციშვილმა 2002 წელს დააფუძნა ტელერადიკომპანია “იმედი”. ტელეარხი სამართალდამცველებმა 2007 წლის 7 ნოემბერს მასობრივი გამოსვლების ალკვეთის დროს დაარბიეს, რადგან, ხელისუფლების პოზიციით, “ტელეიმედი” ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებდა.









ტელეკომპანიის დახურვას წინ უსწრებდა გირგვლიანის მკვლელობის საქმის გაშუქება. „დროება“ ეს თემა მას შემდეგ წამოწია რაც გაზეთმა „ჯორჯიან თაიმსმა“ გირგვლიანის მკვლელობის დეტალები ექსკლუზიურად მოიპოვა და გაახმოვანა. სწორედ გირგვლიანის მკვლელობა იყო „იმედის“ დახურვის პირველი ნაბიჯი. სწორედ ამ ფაქტის გახმაურებამ (ფაქტისა, რომელიც, როგორც ალვნიშნეთ გაზეთმა გამოაქვეყნა, თუმცა რეზონანსი არ მიეცა) გამოიწვია სააკაშვილის და მისი ბანდის უმძაფრესი გაღიზიანება, ბადრი პოლიტიკიდან რომც გამქრალიყო, სააკაშვილი მას მაინც არაფერს აპატიებდა, მიუხედავად იმისა, რომ პატარკაცისვილს ე.წ. ვარდების რევოლუციაში დიდი წვლილი მიუძღვოდა.

იანვარში, გენპროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ პატარკაციშვილს დაუსწრებლად ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, დაადანაშაულა რა, ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებისა და ტერაქტების მომზადებაში. ალბათ ყველას ახსოვს პროკურორყოფილი ნიკა გვარამია მედიის საშუალებით როგორი დამაჯერებლობით აბოლებდა „გადარჩენილი“ქვეყნის საზოგადოებას თუ როგორ გადაარჩინეს ხროვის წევრებმა ქვეყანა... გასულ კვირას საქართველოს პროკურატურამ განაცხადა, რომ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტი გახსნა. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის მომზადების ფაქტზე, დაკავებულია კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს პირველი სამსახურის ყოფილი უფროსი გიორგი მერებაშვილი, მეორე მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილე ლევან ქარდავასა და ამავე სამმართველოს მეორე სამსახურის უფროს რევაზ შიუკაშვილს კი წარედგინათ ბრალდებები. საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ეგრედწოდებულ „ფარული კადრების ჩამწერი პირების საქმეზე“, ერთ-ერთი ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის დროს, აღმოჩენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ხმის ჩამწერი მოწყობილობა, რომელზედაც ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ 2007 წლის 4 და 5 თებერვლის ორი ჩანაწერი, კონკრეტული პირის ლიკვიდაციის მომზადების საკითხს შეეხებოდა. 2007 წლის 4 თებერვლის ჩანაწერში კუდის მაღალჩინოსანი დგებუაძე ესაუბრება ბადრი პატარკაციშვილის დაცვის წევრს და მის გადმობირებას ცდილობს. საუბრისას დგებუაძე ადასტურებს, რომ მკვლელობის მომზადების საკითხი სანქცირებულია საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ, რადგან ბადრი პატარკაციშვილი მათი პოლიტიკური ოპონენტი და ხელისუფლების დაუძინებელი მტერია. ჩანაწერის მიხედვით, ასევე დგინდება, რომ ლიკვიდაცია კუდმა უნდა განახორციელოს, რაც შეეხება მეორე ჩანაწერს, რომელიც 2007 წლის 5 თებერვლით თარიღდება, მასში ასახულია ე.წ. „მოდულის“ შენობაში გამართული თათბირი, რა დროსაც კუდ-ის მაღალჩინოსანი გ.დ., მის დაქვემდებარებაში მყოფი ასევე კუდ-ის თანამშრომლები და ამჟამად ბრალდებულები ლ.ქ.; რ.შ. და გ.მ., პოლიტიკური სივრციდან ჩამოშორების მიზნით, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას ამზადებენ. საუბრის მიხედვით, ისინი განიხილავენ პატარკაციშვილის ლიკვიდაციისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, მათ შორის დაცვის თანამშრომელთა სიის მოპოვების და პერსონალის შესახებ ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობებს. ასევე მსჯელობენ მკვლელობის სხვადასხვა გზებზე, კერძოდ, მისი ისეთი ნივთიერებით მოწამვლაზე, რაც ბუნებრივი სიკვდილის ეფექტს გამოიწვევს. მართალია ჩანაწერებში არ საუბრობენ, მაგრამ სარწმუნო წყაროს ცნობით, მკვლელობის დამგეგმავებისთვის ცნობილი ფაქტი გახლდათ, ისიც რომ პატარკაციშვილი გურმანი იყო და შესაბამისად მის სამსახურში საუკეთესო მზარეულები იდგნენ. ასევე, კარგად დავერბოვკებული და „შეხვეული“ყავდათ ბერეზოვსკი, რომელიც „გიჟდებოდა“მიშას დემოკრატიაზე...

(გაგრძელება იქნება)

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

# პოლიტიკური სუპერმენი და ჩაფლავებული ჟურნალისტები, ანუ „ჭირხვენაი საკვირველი“



## „რასაც „ნაცმოძრაობა“ 9 წლის განმავლობაში აშენებდა, დღეს იმაზე მეტს მარტო მე ვაშენებ“!

ბიძინა ივანიშვილი მზადაა, მუდმივად შეკითხვები რომ აწუხებთ, იმ ტელეჟურნალისტებს შეხვდეს და ინტერვიუ მისცესო, – გავრცელდა ინფორმაცია... პრინციპში, გავრცელდა კი არა, მეხივით გავარდა და ჩვენი "ტელევარსკვლავები" დააბნია კიდეც. "რუსთავორელმა" ნიკა გვარამიამ ეგრევე დაიწყო მიეთ-მოეთი, გიორგი გაბუნიას მაგ დროს (სამშაბათ ღამეს, 22 საათზე) თავისი გადაცემა აქვს, ვერ მივა, გადაცემას ვერ ჩააგდებსო. იგივე გაიმეორა "პირველის" "სასტავმა", კერძოდ ინგა გრიგოლიამ, ვერც მე ჩავაგდებ ჩემს „რეაქციას“, მაყურებლის ინტერესები უფრო მეტად მიღირსო. დარჩა მხოლოდ "იმედის" ირაკლი ჩიხლაძე. თუმცა მოგვიანებით "გაგვახარეს", გიორგი გაბუნიას ეკა კვესიტაძე ჩაენაცვლება, ხოლო ინგა გრიგოლიას – დიანა ტრაპაიძეო. მთელი საქართველო ელოდა "ჭირხვნაი საკვირველს", მაგრამ ჩემი აზრით, ვინც ივანიშვილმა ამოარჩია, მათ თავი აარიდეს მოტივით – "შარშანწინდელიც კი გვახსოვს, შენგან მაგარი ჭირხვნაო". მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მიუგდეს "ამგენმა" "იმგენი" გასაშავებლად პოლიტიკურ სუპერმენს.

* * *

მაშ ასე, წინასაარჩევნო კამპანიის ბოლო კვირა – არჩევნებამდე 6 დღით ადრე პარტია„ ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ბიძინა ივანიშვილი ჟურნალისტების პირისპირ "იმედის" ეთერში "ქართული ოცნების" ცენტრალური ოფისიდან. ფაქტია, ეს გამოსვლა არის "ნაციონალური მოძრაობის" თავზე მეხის დაცემა, ამ დამნაშავე პარტიის პოლიტიკურ კუბოზე საბოლოო ლურსმნისა და საკონტროლო ტყვიის დაჭედება. უნდა ვაღიაროთ, საინტერესო ფორმა მოძებნა ბატონმა ივანიშვილმა, ამას ჰქვია: "თან საქმე, თან – ჭირხვნა", ანუ საპრეზიდენტო არჩევნების მოგება 6 დღით ადრე, სამშაბათ ღამეს, 28-ში ქაღალდზე გაფორმდება და ეგაა. 29-დან "ნაციონალებს" და მათთან გათანაბრებულ პირებს შეუძლიათ, თუკი სალომე ზურაბიშვილის საქართველოში არ სურთ ცხოვრება, სხვა პლანეტაზე, ან სულაც ამსტერდამში გადასახლდნენ.

ბიძინა ივანიშვილი გადაცემის წამყვანის როლში მოგვევლინა – ამჯერად მედიატორი მე ვიქნებიო. კვესიტაძე გამოპარულივით ზის. მაინც წაჰკბინა, ნინო ჯანგირაშვილი მაკლიაო. ტრაპაიძემაც აუბა მხარი. კაცმა აუხსნა, დანარჩენებს მომავალში შევხვდებიო. ტრაპაიძე სვამს პირველ შეკითხვას, მაგრამ თავისივე მსჯელობაში იბლანდება, ძლივს აკონკრეტებს. კვესიტაძე უკვე ჩხუბობს, მას ასეთი როლი აქვს, ასეა დარიგებული გვარამიასგან. ოქუაშვილზე მიდის ბაზარი. ამ ჟურნალისტებისთვის გაუგებარია, რატომ ხვდება ბიზნესმენი ივანიშვილი ბიზნესმენებს. ივანიშვილს უკვირს, რომ ამ ჟურნალისტებს ეს უკვირთ. არ აცდიან ადამიანს, რომ ჩამოაყალიბოს აზრი ნორმალურად, ყველანაირად ცდილობენ, რომ გადაცემა არიონ. შეიძლება არც ცდილობენ, უბრალოდ, ასე გამოდის – ორი დედაკაცი ეჩხუბება ერთ ადამიანს, ხოლო "იმედის" ირაკლი ჩიხლაძე ზის მდუმარედ. ივანიშვილი ახერხებს და აკონკრეტებს – ბიზნესმენებს მომავალშიც შევხვდებიო.

კვესიტაძე ნერვიულობს, ასე არ გამოვაო, მარტო ტრაპაიძეს რომ ელაპარაკებითო. დაელოდეთ, დაელოდეთ, – პასუხობს ივანიშვილი. "რუსთავორელს" მხოლოდ ის აინტერესებს, ჩაიყვანა თუ არა ფარცხალაძემ ყიფიანი სარდაფში. პირველივე 15 წუთში თვალშისაცემი ხდება ამ ჟურნალისტების მწირი აზროვნება, მათ არ შეუძლიათ, თავიანთი ინტელექტით დაუპირისპირდნენ ივანიშვილს.

ბატონმა ბიძინამ პენალტი დაარტყა! კვესიტაძეს ეკითხება, ოქუაშვილს რაში უნდა გადაეხადა ფული ჩემთვისო? ჟურნალისტი იბნევა, მე რა ვიციო? ამათი მთავარი თემა ფარცხალაძეა, "რუსთავორელი" ყვება, თუ რა ქონება გააჩნია ყოფილ პროკურორს, თან სიაც მიუტანა.

**ბიძინა ივანიშვილი:** "რუსთავი 2" არის სიცრუის მანქანა, თქვენი ფურცლები არაფერს წარმოადგენს. მე სხვა დოკუმენტები მაქვს მოტანილი. თქვენ ძალიან ბევრს ცრუობთ. თქვენ მთავრობის რამდენიმე წევრის ბინები გამოიტანეთ, არც ერთს არ ჰკითხეთ არაფერი. ქალბატონო ეკა, კულტურა იქონიეთ, ორ ხმაში ვერ ვილაპარაკებთ, შეეცადეთ, რომ დაელოდოთ, ასე ძალიან დავიღლებით. თქვენ მაყურებლის ნაწილი გყავთ მძევლად აყვანილი და ატყუებთ"!

კვესიტაძე ვერ ჩერდება, როგორც ჩანს, გვარამიამ გამოცილებისას წიწაკა აჭამა. ივანიშვილი შენიშვნას შენიშვნაზე აძლევს. ისევ ფარცხალაძე და მისი ბოტასები, ისევ სარდაფი. ეს არ არის საუბარი, ეს არის ორი ჟურნალისტის წიკვინი. ვერ გავიგე, ჩიხლაძე რისთვის მიიყვანეს.

რა ოთხი თითი ვაჩვენე ოქუაშვილს, როგორ გეკადრებათო? – ლაპარაკობს ივანიშვილი, რომელიც აშკარად მაგრადაა მომზადებული, ყველა დეტალი იცის. ამას გრძნობს კვესიტაძე და ცდილობს, არ მისცეს ახსნა-განმარტების საშუალება. დიანა ტრაპაიძეც იმსახურებს შენიშვნას, თქვენ "რუსთავი 2"-ის ფილიალი ხართო.

გადის 40 წუთი. ისევ ფარცხალაძე, ისევ სარდაფი, ისევ ბოტასები, ისევ ოქუაშვილი. მე-40 წუთზე ხმას იღებს ირაკლი ჩიხლაძე და სვამს შეკითხვას სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციაზე. დღეს რომ "რუსთავი 2" გამორთო, ქვეყანაში აღმშენებლობაზე მეტს ვერაფერს ნახავთო, – არის პასუხი. რა თქმა უნდა, ყველა მობილიზებული უნდა ვიყოთ, რომ ხელისუფლება იყოს გამჭვირვალე, თუ ვინმე დააშავებს, უნდა დაისაჯოს, – არის დამატება. თუმცა "რუსთავი 2" მაინც სიცრუეს ავრცელებს, – არტყამს ბეჭედს. კვესიტაძე ნელ-ნელა ჩმორდება.

**ბიძინა ივანიშვილის მეორე პენალტი:** „რასაც „ნაცმოძრაობა“ 9 წლის განმავლობაში აშენებდა, დღეს იმაზე მეტს მარტო მე ვაშენებ"!

კვესიტაძე ირონიულად კითხულობს, მაინც რას აშენებთო? უკვირს, რომ ივანიშვილი რამეს აშენებს. "რუსთავორელი" ამოვარდნილია "რუსთავი 2"-ის გრაფიკიდანაც კი, ის უძლურია, წინააღმდეგობა გაუწიოს ივანიშვილს.

**ბიძინა ივანიშვილის მესამე პენალტი:** "ძალიან მალე, ერთ წელიწადში ყველას დაერქმევა თავისი სახელი. დღეს ისეთი შეგრძნებაა, თითქოს სახელმწიფო აღარ არსებობს, უნდათ დახატონ, თითქოს ივანიშვილი ვიღაცებს არეკეტებს. მაქსიმუმ ერთ წელიწადში ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა"!

აი, ამის მოსმენა მინდოდა, ეს არის მთავარი, თუ ერთ წელიწადში ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, ეს იქნება დიდი გამარჯვება. ამაზე ოცნებობს ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი. მე პირადად, როდესაც ბიძინა ივანიშვილის ბოლო ინტერვიუ მოვისმინე, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ცოტა გულნატკენი იყო და ცოტაც ნაწყენი. თან თითქოს თავს იმართლებდა. ამ შემთხვევაში ისევ ვიხილე ძველი ბიძინა ივანიშვილი, შემტევი, ემოციური, ენერგიული, ის აშკარად მზად არის ხელახალი ბრძოლისთვის. არადა, ხელახალი ბრძოლა საჭიროა, აუცილებელიც კი.

ზუსტად 1 საათი გადის. ისევ ფარცხალაძე, ისევ სარდაფი, ისევ ტიტველი ყიფიანი, ისევ ბოტასები. ტრაპაიძე კითხულობს, რატომ გიყვართ ასე ფარცხალაძეო? მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ჟურნალისტებს ივანიშვილი პროკურორი ჰგონიათ, მან უნდა გამოიძიოს, რამდენი წყვილი ბოტასი მოიპარა ფარცხალაძემ გერმანიაში და დასაჯოს.

უსუსური შეკითხვების მთელი წყება. ადრე არ ჩანდით, ახლა კი სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კლიპშიც კი გადაგიღესო. თითქოს ამ ადამიანს აკრძალული აქვს, ან კლიპში გადაიღონ, ან კიდევ ფილმში.

და ბოლოს... თამამად შეიძლება ითქვას, რომ ივანიშვილმა ჟურნალისტები ჩააფლავა. იყო ბრალდებები, იყო ბრალდებები სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ. ბატონმა ბიძინამ დაადასტურა, რომ ცხინვალი დაბომბა სააკაშვილმა და არა საქართველომ. მან კიდევ ერთხელ ახსნა, თუ რა მოხდა 2008-ში და რაც ჩვენ მშვენივრად ვიცით. რაც "ნაცმოძრაობამ" ჩაიდინა, სწორედ ეს არის ღალატი.

დიახ, იყო ღალატი და ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი!



**გელა ზედელაშვილი**


საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით

+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983

9 772233 398001